საერთო გაზეთი

№6 (511) • 27 თებერვალი, 2019წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

რამაზ საყვარელიძე:

დარჩენილ დროში ბიძინა ივანიშვილი ისეთ მოულოდნელ სვლებს გააკეთებს, რომ 2020 წელს აუცილებლად მოიპოვებს მორიგ გამარჯვებას

დავით ბარაბაძე:

„თიბისი ბანკი“ ნომერ პირველი მევახშეა, რომელსაც უამრავი ადამიანი ჰყავს საკუთარი სახლებიდან გამოყრილი

ლადო აფხაზავა: ჩემი სკოლა არის ჩემი ოჯოს აკვარიუმი

ხათ(ქ)უნა ბებო

საბაყაყეთის დედოფალი

ვინ მოსთხოვს პასუხს „გაუპატიურებულ ოფოფს“, რომლის „დიაგნოზით“ საქართველო ყ...ბის ქვეყანა ყოფილა?!

სოსო მანჯავიძე:

ქვეყნისთვის ახალი დღის წესრიგის შეთავაზებაა საჭირო

მიშა, 99%-იანი ქართველი და თამაშგარეთ დარჩენილი მიშას მამა და ბაბუა

რამაზ საყვარელიძე:

დარჩენილ დროში ბიძინა ივანიშვილი ისეთ მოულოდნელ სვლებს გააკეთებს, რომ 2020 წელს აუცილებლად მოიპოვებს მორიგ გამარჯვებას

ყველამ ვიცით, რომ ივანიშვილი ქველმოქმედია, თუმცა, მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქველმოქმედება 2012 წელს საქართველოს ისტორიის შეცვლა და არჩევნებში გამარჯვება იყო!

გვესაუბრება ფსიქოლოგი, პოლიტოლოგი
რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, უმრავლესობაში დაპირისპირება დღითიდღე მწვავდება. თქვენი აზრით, რა გადალაგებებია პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე?

— დაფას, უკვე, ერთმანეთს ურტყამენ (იცინის). ნებისმიერი აწმყო წარსულით ფასდება: 2012 წელს ივანიშვილს შემდეგი ამოცანა ჰქონდა გადასაწყვეტი: ხელისუფლების შეცვლის შემდეგ რა უნდა მოემოქმედებინა სასამართლოსა და პროკურატურასთან მიმართებაში. ორივე სტრუქტურა სააკაშვილის ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული და დიდი შანსი იყო ამ გავლენის ზეწოლისქვეშ ყოფნა კვლავაც გაგრძელებულიყო. ცხადია, სააკაშვილის გუნდი პოლიტიკაში დარჩენის შემთხვევაში გავლენების შენარჩუნებას, გაძლიერებას ეცდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო კორპუსი და პროკურატურა მთლიანად უნდა შეცვლილიყო, რისი გაკეთებაც ფიზიკურად შეუძლებელი იქნებოდა. ასეთი რამ არცერთ სახელმწიფოს არ ძალუძს — ერთი ხელის მოსმით მაღალკვალიფიცირებული პროკურორები და მოსამართლეები ახლებით ჩაანაცვლოს. არსებობდა სხვა გამოსავალიც: სამართალდამცავებზე გავლენები ახალ ხელისუფლებას მოეპოვებინა. ასეც მოხდა — ივანიშვილმა არსებულ სამართალდამცავ სისტემაზე გავლენის მოპოვების სტრატეგია აირჩია, რისთვისაც საჭირო იყო, ამ სისტემაში, გავლენის მქონე პირები ეპოვა. ადრე, საბჭოთა კავშირის პერიოდში „კანონიერ ქურდებს“ გამოჰყოფდნენ, რათა სხვა ქურდებზე მართვის ბერკეტები ჰქონოდათ. ანალოგიური შეიძლება ითქვას ამ შემთხვევაშიც: „კანონიერი მოსამართლეები“ მოძებნეს და მათი საშუალებით სისტემის კონტროლი გადაწყდა. თავად ივანიშვილი, ბუნებრივია, ამ სისტემას არ იცნობდა. იგი, როცა ხელისუფლებაში მოვიდა, ძალიან ცოტა სტრუქტურას თუ იცნობდა და ბუნებრივია, თავის გარშემო მყოფ, მისთვის ერთგულ იურისტებს დაეყრდნო და მათი რჩევები გაითვალისწინა. სავარაუდოდ, მას ურჩიეს: „კანონიერი მოსამართლეების“ მეშვეობით სისტემა ემართა. ერთ-ერთი ასეთი ფიგურა მურუსიძე გახლდათ. თუ გახსოვთ, ივანიშვილმა მურუსიძეს მსხვერპლი უწოდა, მას სტატუსი შეუნარჩუნა და მერე, გაუძლიერა კიდეც. ამის შემდგომ დაიწყო ეს პროცესი. დღეს, რასაც კლანს ვეძახით, ფაქტობრივად, იმდროინდელი შექმნილია სწორედ მათი რჩევით, ვინც სისტემას იცნობდა და იცოდა ვინ იყო მასში გავლენიანი პირი. ჩემი აზრით, სწორედ აქ იქნა დაშვებული პოლიტიკური შეცდომა. შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, რაღაც ეტაპზე ასეთი სვლა გასაგები და მისაღებია. მაგრამ, ამ ჯგუფზე კვლავ დაყრდნობა, მათთან ხელიხელჩაკიდებული ყოფნა, პოლიტიკურად წამგებიანია. მით უმეტეს, როცა ხელისუფლებაში მოდიხარ პირობით, რომ სამართლიანობას აღადგენ, ამ დროს კი წინაპლანზე აყენებ ადამიანებს, რომელთაც თავის დროზე ეს სამართლიანობა გათელეს. ამ დროს, უკვე, პოლიტიკური პირობა მოსახლეობის მიმართ, რომლის ძირითადი მოტივი 2012 წელს სწორედ სამართლიანობის აღდგენა იყო, ფიქცია ხდება, ნდობაც იკარგება. აი, ეს პროცესი გასკდა ამჟამად. ისმის კითხვა: როგორ უნდა წარმართულიყო პროცესი, რათა არც მწვადი დამწვარიყო და არც შამფური? — ჩემი აზრით, 2012 წელს ამ ფიგურებზე დაყრდნობა შეიძლებოდა, მაგრამ მერე, სასწრაფოდ, ახალი კადრების მომზადება და ნელ-ნელა ძველი კადრების ახლით ჩანაცვლება უნდა მომხდარიყო. არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადადგმულიყო ნაბიჯები ძველი კადრების დაწინაურების, გაძლიერების მიმართულებით. შვიდ წელიწადში ამის გაკეთება თავისუფლად შეიძლებოდა და არც დღეს დავდგებოდით ამ პრობლემის წინაშე. სამწუხაროდ, ამ დროის მანძილზე კადრების შეცვლის, შევსების მიმართულებით არაფერი გაკეთებულა. დღეს შემდეგი სურათი მივიღეთ: რადგან ეს ფიგურები თავის დროზე პოლიტიკურ წმენდაში არ მოხვდნენ, ახლა უნდათ მყარად შეინარჩუნონ ის ადგილები, რაც აქვთ და უფრო საკვანძო თანამდებობები დაიკავონ. უვადოდ არჩევა, თითქმის, ყველამ გაინაღდა და ახლა, უზენაეს სასამართლოში ის სტატუსი სჭირდებათ, რაც მათ პოზიციებს კიდევ უფრო გაამაგრებს. ყველაფერი პოლიტიკური დაუდევრობის შედეგია — არ გათვალისწინდა ამ პროცესის პოლიტიკური ასპექტი, ეს მხოლოდ სასამართლოს თემა არ არის. მოსახლეობაში გაჩნდა საყვედური, რამაც არჩევნების პირველ ტურში თავი იჩინა. ვგულისხმობ, დაპირებების შეუსრულებლობას. მოსამართლეების თემასთან დაკავშირებით ეს კიდევ უფრო მკაფიოა იმიტომ, რომ სამართლიანობის აღდგენა ძირითადი დაპირება იყო. ივანიშვილმა მეორე ტურის წინ მოსახლეობას ეს პირობა ხელახლა გაუმეორა, თუმცა მოსახლეობაში ნელ-ნელა მაინც ჩნდება განცდა, რომ 2012 წლის მიზნები, მათ მიერ ვინც ეს დასახა, დავიწყებულია.

— რატომ გამწვავდა ახლა კრიზისი. ბესელია აქამდე დუმდა, განა არ იცოდა რას წარმოადგენდნენ ეს მოსამართლეები?

— ბესელიას ამ ნაბიჯს, ალბათ, თავად „ქართულმა ოცნებამ“ შეუწყო ხელი. მათ ბესელიას ჩამოშორება გადაწყვიტეს. ყველა ამბობს: მისი იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეობიდან მოხსნა გადაწყვეტილი იყოო. კედელთან მიყენებულმა ბესელიამ სიტუაციის შეფასება დაიწყო, იპოვა მომენტი, კონტექსტი, რაშიც ის შეიძლება დამარცხებულიყო, მაგრამ კარის გაჯახუნებით წასულიყო და არა ჩუმად გადაეყვანათ ერთი თანამდებობიდან მეორეზე, სადაც მისი აქტივობის ხარისხი უფრო დაბალი იქნებოდა.

— ბესელიას კანონპროექტს უმრავლესობიდან 17 პირმა მხარი დაუჭირა, ოთხმა უმრავლესობა უკვე დატოვა. დაიწყება თუ არა დანარჩენების პარტიიდან გარიცხვის პროცესი — ეს გუნდის შენჯღრევაა თუ სახეზეა რღვევა?

— პარტიიდან მისი წევრების გარიცხვის ნაბიჯი, ჯერჯერობით, შეჩერდა, ყოველ შემთხვევაში, ბოლო სხდომამ ასე აჩვენა. გარიცხვის სტილი კობახიძისეულია. გავიხსენოთ, თუნდაც, ჭიჭინაძის შემთხვევა. პარლამენტის თავმჯდომარე ხშირად აკეთებს პედალირებას პარტიულ დისციპლინაზე. თუმცა, როგორც ჩანს, დაინახეს, რომ პარტიული დისციპლინის ასეთი პედალირებით შეიძლება პარტია აღარ შერჩეთ. თანაც, მოსახლეობა ამ ნაბიჯს მართებულად არ მიიჩნევს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გარიცხულს ყოველთვის აქვს მსხვერპლის სტატუსი და საზოგადოება, პრაქტიკულად,

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნული სარეკლამო მასალები.

დაჩაგრულის მხარეს იჭერს. ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ გარიცხულები შეიძლება საკმაოდ სერიოზულ ძალად ჩამოყალიბდნენ სწორედ გარიცხვის გამოც. თუ ამას რეპრესიებიც დაემატა, დიდი შანსია მოსახლეობა მათ მხარეს დადგეს. ეს თემა, ჯერჯერობით, მოხსნილია. თუ პარტიიდან გარიცხვაზე ლაპარაკი ისევ გაგრძელდება, გამორიცხული არაფერია, მაშინ დარჩენილ „ურჩ“ 13 წევრსაც გარიცხავენ და აქტიურად მოინდურებენ მთელ იმ ელექტორატს, რომელიც მათ უჭერს მხარს. ასე, რომ პარტიის წევრების გარიცხვა წამგებიანი ნაბიჯია.

— ივანიშვილმა ძველი გვარდია ჩამოიშორა, მისი ფავორიტი უფრო ახალი გუნდია, რომელთაც ხალხში საერთოდ არ აქვთ პოპულარობა. ეს ივანიშვილის არჩევანია?

— ივანიშვილმა ერთ რამესაც უნდა მიაქციოს ყურადღება: საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში საარჩევნო კამპანია ამ ახალგაზრდებს მიჰყავდათ. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტობის კანდიდატს ვერ გაამარჯვებინეს. მიზანი არ მიიღწა. ივანიშვილს მეორე ტურში გამარჯვებისთვის ძველი გვარდიის მოხმობა დასჭირდა. 2020 წელს, ამ მხრივ, უფრო მძიმე ვითარებაა მოსალოდნელია: თუკი ივანიშვილი კვლავ ამ ახალგაზრდების ჯგუფს დაეყრდნობა, რომელთაც ერთი კანდიდატი — პრეზიდენტი ვერ გაიყვანეს, ძალიან საეჭვოა, რომ მათ პარტიის გამარჯვებამდე მიყვანა მოახერხონ. შესაბამისად, შეიძლება ისევ ძველი გვარდიის თემა ამოტივტივდეს. მაგრამ ძველი გვარდია ივანიშვილს აღარ გაჰყვება, თუკი სიტუაცია რაც დღეს არის უცვლელი დარჩება იმიტომ, რომ მეორე ტურამდე დადებული პირობის შემდეგ მოსამართლეების თემა გამწვავადა. ამიტომ, შეიძლება ის ნდობა დაიკარგოს. ახალგაზრდები აპელირებას აკეთებენ შემდეგ ფორმულაზე — „ნაცმოძრაობა“ ისევ ამოტივტივდება და ამ ბოროტებას ვერ გადავრჩებითო. აქამდე, არჩევნები სწორედ ამ ფორმულით მიდიოდა. 2020 წელს ეს ფორმულა, შეიძლება, ეფექტური აღარ აღმოჩნდეს, რაშიც მოსამართლეების თემამ გარკვეული როლი შეასრულა. ასე, რომ არ არის გამორიცხული შეიქმნას მესამე ალტერნატივა, რისი კონტურებიც გამოსახულია „პატრიოტთა ალიანსისა“ და ეკა ბესელიას გუნდის სახით. რაში გამოიხატება მესამე ალტერნატივის კრედო? — არც „ნაციონალები“ გვინდა და არც „ქართული ოცნების“ ის ჯგუფი, რომელიც ასეთ საქმეებს სჩადის. არც ერთი, არც მეორე — რამაც გაიჟღერა კიდეც პირველი ტურის არჩევნების მერე, მიტინგზეც გაისმა ლოზუნგი — „ქართულ ოცნებას“ — სილა, „ნაციონალებს“ — მუშტიო. ანუ, ორივე მიუღებელია. ამ ფორმულამ შეიძლება უფრო მკაფიო, პოლიტიკური სახე მიიღოს და ერთმანეთთან დააკავშიროს მხარდამჭერების მხრივ ხალხმრავალი — „პატრიოტთა ალიანსი“ და მაღალი პოლიტიკური კომპეტენციის მქონე და ცნობადი — ბესელიას ჯგუფი. თუკი ისინი ერთმანეთთან შეკავშირდებიან, დიდი შანსია, მეთოდი — „ნაციონალები“ მოდიან და „ქართულ

ოცნებას“ მიეცით ხმაო, შედეგიანი აღარ აღმოჩნდეს. ხალხი მესამე ალტერნატივას მისცემს ხმას, რომლის საშუალებითაც აღარც „ნაციონალებს“ მოუშვებენ მართვის სადავეებთან და აღარც „ქართული ოცნების“ ახალგაზრდულ ფრთას. ის რაზეც ახლა ვლაპარაკობ, ამას დიდი სიბრძნე არ სჭირდება. ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ ეს ვერსია — 2020 წლისთვის „ნაციონალებით“ დაშინება შეიძლება შედეგიანი აღარ იყოს, აზრს მოკლებული სულაც არ არის. აქვე, საყურადღებოა ერთი მნიშვნელოვანი დეტალი: მეეჭვება, რომ ეს ყველაფერი ივანიშვილს გაანალიზებული არ ჰქონდეს. ამიტომ, ველოდები თუ რა სვლებს გააკეთებს. ასეთი რადიკალური ნაბიჯების გადადგმისთვის ჯერ ადრეა. დღეს გადადგმული რადიკალური ნაბიჯები 2020 წლამდე ხალხის განწყობილებაზე გავლენას ვერ იქონიებს. ამიტომ, ვვარაუდობ, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად ივანიშვილი გადადგამს ნაბიჯებს, რომელიც ხალხის განწყობილებებს მისკენ შემოაბრუნებს. არც იმას გამოვრიცხავ, რომ მან თავისი მფარველობის კალთა სხვას გადააფაროს, ვიდრე იმ ჯგუფს, რომელიც დღეს ჰყავს. მას მოულოდნელი ნაბიჯების გადადგმა სჩვევია და არ მგონია კრიტიკულ სიტუაციაში, რაც 2020 წლისთვის მწიფდება, ლიდერის ისეთი პასიური როლი ითამაშოს, რომელსაც ახალგაზრდები პოლიტიკურ ლაბირინთში დაატარებენ. ვვარაუდობ, რომ იგი ბევრ რამეს შეცვლის, ყოველ შემთხვევაში, ეს მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია. მოგახსენებთ, თუ რატომ: მისი ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქველმოქმედება 2012 წელს საქართველოს ისტორიის შეცვლა, არჩევნებში გამარჯვება იყო. ეს უმთავრესი ქველმოქმედება წყალში ჩაიყრება, თუკი იგი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში ვერ გაიმარჯვებს. დამარცხების შემთხვევაში იგი საქართველოს ისტორიას ვეღარ წარმართავს და მისი ქველმოქმედება იმ (არაპოლიტიკური ქველმოქმედების) მასშტაბებს დაუბრუნდება, რაც ადრე ჰქონდა. ეს კი ყოვლად დაუშვებელია. მას მარცხი არ უყვარს. ამიტომ, მგონია, რომ საყვედურები, თითქოს, იგი პასიურია, ნაადრევად მეჩვენება. 2020 წელს ბიძინა ივანიშვილი აუცილებლად მოიპოვებს მორიგ გამარჯვებას. მისთვის წამგებიანია იმ მდგომარეობით 2020 წლამდე მისვლა, რაც ახლაა შექმნილი. ასე, რომ პირადად, მე, ივანიშვილისგან მთელ რიგ სასიამოვნო სიურპრიზებს ველი.

— დიახ, აშკარაა, რომ 2020 წლის არჩევნებში ის გუნდი, რომელსაც ხალხი არ ენდობა, მას გამარჯვებას ვერ მოუტანს. მაშინ რატომ დაიდო მასზე ფსონი. ეს ხომ არ არის გარე ძალების მიერ ხელოვნურად მართული პროცესი?

— ერთ ელემენტს შემოვიტან: ხშირად, გაისმის ბრალდება, რომ ეს მოსამართლეები ივანიშვილს, მის გუნდს იმისთვის სჭირდებათ, რომ 2020 წლის არჩევნებში გაყალბების ფაქტებზე თვალი დახუჭონ. აქ, საყურადღებოა ერთი დეტალი: ეს მოსამართლეები და მთელი სასამართლო სისტემაც 2012 წელს საკაშვილის იყო, მაგრამ მოსახლეობის დიდი ნაწილის არჩევნებში მონაწილეობამ და საკუთარი აზრის დაფიქსირებამ გადაწონა და სასამართლოების გავლენაც, გაყალბების, დაშინების ფაქტები და სხვა უამრავი მექანიზმი, რომელიც იმდროინდელ არჩევნებში უკანონოდ იყო ჩადებული, გვერდზე ჩამოიტოვა. შედეგად, „ნაცმოძრაობა“ დამარცხდა. ასე, რომ მოსამართლეთა

იმედად ყოფნა — ისინი ჩემები არიან და გავიმარჯვებო, არასწორი დამოკიდებულებაა. იმიტომ, რომ თუ საზოგადოების დიდი ნაწილი ხელისუფლებიდან პოლიტიკური ძალის ჩამოცილებას მოინდომებს, მოსამართლეები ვერაფერს გახდებიან. რაც შეეხება კითხვას: რამდენად მართულია ეს პროცესები გარედან? — არაერთხელ გაისმა, რომ მმართველი პარტიის შიგნით, ერთმანეთს არ ელაპარაკებიან, სულ დაპირისპირებულნი არიან. ეს დიდ დაჯგუფებებში ხშირად ხდება. ამ ეტაპზე, ვერ ვხედავ ინტერესს, რომ აქ პროცესები დასავლეთმა, აშშ-მ წარმართონ. ხომ ხედავთ, რამდენი ხანია აშშ-ს საქართველოში ელჩი არ დაუნიშნია. კარგად გვახსოვს, 2012 წელს როგორ მოავლინეს სასწრაფოდ მაღალი კვალიფიკაციის ელჩი. ანუ, როცა დასავლეთი დაინტერესებულია, ეს ჩანს. ამჟამად, ელჩის ვერ დანიშვნა გულისხმობს, რომ დასავლეთი, ამერიკის სახით, დაინტერესებული არ არის თუ როგორ განვითარდება პროცესები საქართველოში და დაიშლება თუ არა უმრავლესობა. დღეს, მას ბევრად რთული პრობლემები აქვს, ვიდრე საქართველოში უმრავლესობის შენარჩუნება ან არშენარჩუნება.

— საკონსტიტუციო უმრავლესობის დაშლა რა საფრთხეს ქმნის?

— თუ კონსტიტუციის შეცვლის ამოცანა არ დადგა, ამ მხრივ, არც არაფერი შეიცვლება. მაგრამ ასეთი ამოცანის წინაშე თუ დაგებიან, მაშინ მოუწევთ სხვა პარტიებთან საერთო ენის გამონახვა, რათა მხარდამჭერთა საჭირო რაოდენობა შეაგროვონ. საკონსტიტუციო უმრავლესობის დაკარგვაში დრამატული ბევრი არაფერია.

— თავის დროზე შეევარდნაძემაც აქცენტი ახალგაზრდების გუნდზე და სრულიად ახალ სახეებზე გააკეთა, თუმცა, შედეგი მისთვის სასურველი არ აღმოჩნდა. რა იქნება ამ შემთხვევაში?

— გავრცელდა ასეთი ვერსია: ამ ახალგაზრდებზე ივანიშვილის მიბმა, დამოკიდებულება, ნაწილობრივ იმითაც არის განპირობებული, რომ ისინი ბატონ ბიძინას სწორედ ჟვანია-საკაშვილის მოდელით ემუქრებიანო. ჟვანია-საკაშვილის დროს ამ ოპოზიციური ჯგუფის მხარეს იყო როგორც დასავლეთი, ასევე საზოგადოება. საბოლოოდ, ყველაფერი საზოგადოების ფაქტორმა გადაწყვიტა. „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთა, როგორც ამბობენ, იმით იმუქრება, რომ დასავლეთში მხარდაჭერა აქვს. მაგრამ დასავლეთის მხარდაჭერა ვერაფერს უშველით, თუკი საზოგადოების მხარდაჭერა არ ექნათ. ასე, რომ ახლანდელი ვითარება იმდროინდელი მოვლენების ზუსტი ანალოგი არ არის. მაშინ ამერიკას ჰქონდა იდეა, რომ ლამის მთელს მსოფლიოში, სადაც გავლენის გაძლიერება უნდოდა, ხავერდოვანი რევოლუციები მოეხდინა. სწორედ ამ გეგმაზე „მოჯდა“ ჟვანია-საკაშვილის გუნდი, რამაც დიდი როლი ითამაშა. გახსოვთ, „კმარას“ ბავშვებს ცალკე ავარჯიშებდნენ, ანუ, ეს პროცესი დასავლეთის მხრიდან ორგანიზებული იყო. დღეისთვის ასეთი პოზიცია დასავლეთს არ აქვს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„თიბისი ბანკი“ ნომერ პირველი მევახშეა, რომელსაც უამრავი ადამიანი ჰყავს საკუთარი სახლებიდან გამოყრილი

„თიბისი ბანკის“ ბრძანებით ფეხმოჭრილი კაცი სახლიდან ლოგინით გამოიტანეს და ხის ძირში დააგდეს

21 თებერვალს „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ მამუკა ხაზარაძემ სოციალური ქსელის საშუალებით განცხადება გაავრცელა, სადაც მასზე განხორციელებულ ზეწოლასა და ბანკიდან წასვლის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებაზე წერდა. ხაზარაძის განმარტებით, ფულის გათეთრების აბსურდული ბრალდებით მის წინააღმდეგ წარმოებულმა კამპანიამ „თიბისი“ ბანკს რეპუტაციული, ხოლო მის საერთაშორისო აქციონერებს 200 მილიონი დოლარის ზარალი მიაყენა. „მე მივიღე გადაწყვეტილება წავიდე ბანკიდან, სადაც ჩემი ცხოვრების 27 წელი გავატარე, ბანკიდან, რომელიც 500 დოლარიდან რეგიონის უმსხვილეს მოთამაშედ ვაქციე ჩემს გუნდთან ერთად. იმედია, ეს გადაწყვეტილება დადებითად იმოქმედებს ბანკის მომავალ სტაბილურ და მშვიდ გარემოში განვითარებაზე, მე კი მთელ ჩემს ენერგიას ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს – ანაკლიის პროექტის განხორციელებას მივუძღვნი. იმედია, დამცალდება საქმის ბოლომდე მიყვანა“ – განაცხადა მამუკა ხაზარაძემ.

როგორ აფასებენ „თიბისი“ ბანკის გარშემო განვითარებულ მოვლენებს საბანკო-სამევახშეო სისტემის მიერ დაზარალებული ადამიანები, რატომ აპირებენ ბანკის წინ აქციის მოწყობას და რას თხოვენ პროკურატურას? ამ და სხვა თემებზე „საერთო გაზეთს“ საბანკო-სამევახშეო სისტემის მიერ დაზარალებულთა უფლებების დაცვის დასავლეთ საქართველოს კომიტეტის ხელმძღვანელი დავით ბარაბაძე ესაუბრა:

– პირველ რიგში, მადლობა მინდა მოვუხადო საქართველოს პროკურატურას იმისთვის, რომ „თიბისი ბანკის“ პრეზიდენტის საქმიანობით დაინტერესდა, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ ბანკის მიერ აუქციონზე შეძენილ ქონებასაც შეისწავლის. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, „თიბისი ბანკი“ საქართველოში იძულებით ჩამორთმეული ქონების შემძენთა სამეულშია და პრაქტიკულად, „გაატყავა“ საქართველოს მოსახლეობა.

– ასეთი მონაცემები საიდან გაქვთ?

– ჩემს ხელთაა სასამართლოს 250 განჩინება და ყველა ბანკის და არა მოქალაქეების სასარგებლოდ დასრულდა. შესაბამისად, „თიბისი ბანკის“ მიერ გამოწერილია დაახლოებით, 250 აღსრულების ფურცელი და შემიძლია ასლები დაინტერესებულ მხარეს ვაჩვენო. ქალაქ ხონში, სადაც მე ვცხოვრობ, შემიძლია გაჩვენოთ 21 საცხოვრებელი სახლი, რომელიც ხაზარაძის ბანკმა შეიძინა. „თიბისი ბანკი“ ხალხს სახლებიდან მიერეკება, ამიტომ ნურავინ ეცდება მამუკა ხაზარაძე მამა აბრამის ბატკნად წარმოაჩინოს. მისი წარმომადგენლები მსესხებელს ვერაგულად ექცევიან, მოლაპარაკებაზე არ მოდიან, კანონიერ ხელშეკრულებებს ცალმხრივად წყვეტენ, ერთიანად ითხოვენ „ძირ თანხას“ და ზედ დამატებულ კაბალურ პროცენტებს და წერენ აღსრულების ფურცლებს. „თბს ბანკმა“ და „საქარველოს ბანკმა“ გაატყავეს საქართველოს მოქალაქეების 98%. მათ შორის, მეც ამ ბანკის მსხვერპლი ვარ. 2015 წელს ავიღე იპოთეკური სესხი „თიბისი ბანკში“ და დღემდე დავა გვაქვს. უზენაეს სასამართლომდე ვართ მისულები.. საინტერესოა რაში ჭირდება მსოფლიოში ცნობილი და ლონდონის ბირჟაზე გასული ბანკის მფლობელებს გაჭირვებული, სოციალურ დახმარებაზე მცხოვრები ხონელების სახლები – ფილიალებს გახსნიან თუ ამ სახლებში იცხოვრებენ?

– ერთ-ერთი ორგანიზაციის მიერ თბილისსა და აღმოსავლეთ საქართველოში შეკრებილი მონაცემების თანახმად, სხვა ბანკებთან შედარებით, „თბს ბანკს“ ყველაზე ნაკლები ოჯახი ჰყავს გამოსახლებული.

– არ ვიცი აღმოსავლეთ საქართველოში რა მონაცემებია, მაგრამ დასავლეთი „თბს ბანკს“ სრულად ოკუპირებული აქვს. რაჭაში, სამეგრელოში, კერძოდ, მარტვილში კატასტროფული მდგომარეობაა – 36 საცხოვრებელი სახლი გვაქვს აღრიცხვაზე აყვანილი, რომლებშიც დღე-დღეზე გამოსახლება მოხდება. „რუსთავი 2“ და სხვა მედიასაშუალებებს, რომლებიც მამუკა ხაზარაძეს იცავენ, მინდა ვუთხრა, რომ „თბს ბანკმა“ ფეხმოჭრილი ადამიანი სახლიდან ლოგინით გამოიტანა და ხის ძირში დატოვა. ამაზე ხელისმომწერი ზუსტად ის მამუკა ხაზარაძე იყო, რომლისგანაც მსხვერპლის შექმნას ცდილობენ. პირადად მე ვერანაირ პოლიტიკურ ინტერესს ამ საქმეში ვერ ვხედავ და არც ის მჯერა, რომ ბანკის გარშემო განვითარებულ მოვლენებში ბიძინა ივანიშვილის ხელი ურევია. უბრალოდ, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული.. ადამიანი, რომელმაც საკუთარი კეთილდღეობა სხვის უბედურებაზე ააწყო, ოდესმე კისერს წაიტეხს.

– თქვენი აზრით, „თიბისი ბანკის“ გაჩერებით ადამიანების გამოსახლების პროცესი შეჩერდება?

– როგორც იცით, „ეროვნული ბანკის“ მიერ შემოღებული ახალი რეგულაციების მიხედვით, სესხზე თავმდები მხოლოდ და მხოლოდ ოჯახის წევრი უნდა იყოს, რომელსაც ფიქსირებული შემოსავალი ექნება. სხვანაირად, ბანკს სესხის გაცემის უფლება არ აქვს. მე შემიძლია მოგაწოდოთ ინფორმაცია ადამიანების შესახებ, რომლებსაც არც ოჯახის წევრები ჰყავთ და არც მათი ფიქსირებული შემოსავალი, მაგრამ სესხი ჩვეულებრივად აიღეს, რაც ნიშნავს, რომ „თიბისი ბანკი“ „ეროვნული ბანკის“ რეგულაციებსაც კი არ ემორჩილება. „ეროვნულმა ბანკმა“, რომელსაც აქამდე არაფრით გამოუჩენია თავი, ერთადერთი კარგი ის გააკეთა, რომ საქართველოს პირველ მევახშეს უფლებამოსილება შეუჩერა და საბანკო სისტემას ჩამოაშორა. ამჟამად ვმუშაობთ იმაზე, რომ „თიბისი ბანკის“ წინ აქცია-მიტინგი მოვაწყოთ. ბანკის მიერ გამოსახლებულ ადამიანებს მოვუწოდებთ, რომ მოვიდნენ მარჯანიშვილის 7 ნომერში „თიბისი ბანკის“ სათავო ოფისთან და მხარი დაუჭირონ ნომერ პირველი მევახშის ჩამოშორებას საქართველოს საბანკო სისტემიდან. ამას ჩვენ აუცილებლად განვახორციელებთ და რეგიონებიდანაც ჩამოვიყვანთ ხალხს. რაცშეეხება სხვა ბანკების მიერ დაზარალებულ ადამიანებს, საბანკო-სამევახშეო ტერორის წინააღმდეგ ყველა უნდა გაერთიანდეს. სხვანაირად, ამ პრობლემას არაფერი ეშველება.

●

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა 2018 წლის მაისში დაიწყო „თიბისი ბანკის“, მისი კლიენტი იურიდიული პირების, ბანკის ადმინისტრატორებისა და ცალკეული აქციონერების ფინანსური აქტივობების შესწავლა და მივიდა დასკვნამდე, რომ ამ აქტივობებში აშკარად იკვეთებოდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ანუ ფულის გათეთრებისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებების ნიშნები. შესაბამისად, უწყებამ 2018 წლის 2 აგვისტოს, დაიწყო სისხლის სამართლის საქმის გამოძიება უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ფაქტზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194 მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით.

ამასთან, რამდენიმე დღის წინ საქართველოს ეროვნულმა ბანკმა „თიბისი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს, მამუკა ხაზარაძეს და მის მოადგილეს, ბადრი ჯაფარიძეს ხელმოწერის უფლება შეუჩერა. ასევე, „თიბისი ბანკის“ აქციონერთა კრებას მათი სამეთვალყურეო საბჭოდან გაწვევისთვის ორთვიანი ვადა მისცა.

ნელი თორდია
571 35 36 88

ლადო აფხაზავა:

ჩემი სკოლა არის ჩემი ოქროს აკვარიუმი

ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი ლადო აფხაზავა „მასწავლებლის გლობალური ჯილდოს“ ფინალისტი გახდა.

სოციალური ქსელი და ინტერნეტმედია თითქმის ყოველ დღე მასზე წერს და ლაპარაკობს.

რას ფიქრობს თავად ლადო აფხაზავა, როგორ ცხოვრობს და რას აპირებს, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

— ლადო, საზოგადოებას სურს გაგიცნოთ, ამიტომ თავიდან დავიწყოთ:

პედაგოგობა რატომ გადაწყვიტეთ, ოჯახში ვინმე მასწავლებელი გყავდათ?

— არავინ. მე უბრალო გლეხის ოჯახში გავიზარდე.

მე-8 კლასში ვიყავი, როცა მასწავლებლობა გადავწყვიტე, არ მომწონდა მაშინდელი სკოლა და მინდოდა არსებული რეალობა შემეცვალა.

— რა რეალობა იყო ასეთი?

— სიტყვიერი, ფიზიკური ძალადობა ბევრი იყო. გვეშინოდა თავისუფლად აზრის გამოთქმის.

ერთი ამბავი მასხენდება: ძერწვის გაკვეთილზე პლასტელინით ბურატინოს ცხვირი გამოვძერწე და ლენინის სურათს მივაწებე. მასწავლებელმა მიბრძანა, მთელი გაკვეთილის განმავლობაში საკლასო ოთახში დაჩოქილი ვყოფილიყავი და მაპატიე ძია ლენინ, — მეძახა.

სკოლა რომ დავამთავრე, ზუსტად ვიცოდი, მასწავლებელი ვიქნებოდი. მაგრამ ჩემს მშობლებს უთხრეს: მილიონიც რომ გადაიხადოთ, პედაგოგიურზე მოხვედრა მაინც შეუძლებელიაო. ამიტომ ეკონომიურზე შევიტანეთ საბუთები და გავხდი ეკონომისტი. შემდეგ სასულიერო აკადემიაში განვაგრძე სწავლა. სკოლაში ვასწავლიდი რელიგიის ისტორიას წლების განმავლობაში. ახლაც სტიქაროსანი ვარ ეკლესიაში.

— სკოლაში რეალობის შეცვლა მინდოდაო, თქვით. როცა მასწავლებლობა დაიწყეთ, არ ფიქრობდით, რომ იგივე, უფროსი პედაგოგებისგან და საზოგადოებისგანაც, წინააღმდეგობები შეგხვდებოდათ?

— რა თქმა უნდა, ვიცოდი ეს და ვცდილობდი, მეტი მესაუბრა ახალ და ძველ პედაგოგებთან. მოქმედების გეგმებზე ვთანხმდებოდი სკოლის დირექტორთან. დამოუკიდებლად რევოლუციური ნაბიჯების გადადგმა არც კორექტულია და არც შედეგიანი. ეს რთული და შრომატევადი საქმე იყო და არის, მაგრამ მოთმინებით, ნაბიჯ-ნაბიჯ მიზანი მიიღწევა.

— ბავშვები ძალიან გიყვართ.

— რა თქმა უნდა, ოჯახის წევრებიც პატარები მყავს, დისშვილები, რომლებიც ძალიან მიყვარს. ვიცი მათი ინტერესები, განწყობები, მისწრაფებები. ბავშვებთან სიახლოვე აძლიერებს ადამიანს.

სამი და მყავს და 6 დის შვილი.

კურიოზული ისაა, რომ სამივე და მოიტაცეს. ერთ დღეს მესამე დაც რომ არ მოვიდა სახლში, დედაჩემი კივილით გავარდა ეზოდან: ეს რა ხდება ჩემს თავსო. მაშინ მამაჩემმა გასძახა: ქალო, შემოდი შინ, ამ სახლიდან ყველა ქალს იტაცებენ და შენც არ წაგიყვანონო.

— თვითონ აქამდე რატომ არ დაქორწინდით?

— სკოლა რომ დავამთავრე, იმ წლიდან უკვე ვთხოვდი მშობლებს: მიმყვევით საპატარძლოს ოჯახში, ხელი უნდა ვთხოვო-მეთქი. ყოველ თხოვნაზე მეუბნებოდნენ: ჯერ უნდა ისწავლო და ცოლი მერე უნდა მოიყვანოო.

ამასობაში დედაჩემს კიბო დაემართა. გავყიდეთ ყველაფერი, რაც გაგვაჩნდა. დედა მაინც ვერ გადავარჩინეთ. მერე მას მამაჩემიც მიჰყვა. სახლი, ფაქტობრივად, ცარიელი დაგვრჩა ავეჯის და ყველაფრის გარეშე. ცოლს რომ მოიყვან, ყველაფერი საჭიროა. ასეთ უქონელს მე არავინ გამომყვა. ბედისწერა იყო თუ რა, არ ვიცი, მაგრამ ვისაც ხელი ვთხოვე, ყველა ძალიან მალე სხვას მიჰყვებოდა, თხოვდებოდა.

სამი გოგო მიყვარდა და სამივე გამითხოვდა.

— ახლა მილიონს რომ მოიგებთ, საცოლეების ცვენა დაიწყება.

— (იცინის.) იმედია. ამას გარდა სხვა საინტერესო გეგმებიც მაქვს. საგანმანათლებლო პროექტები უნდა განვახორციელო.

ვგეგმავ დასავლეთ საქართველოს მაღალმთიან სოფლებში საგანმანათლებლო რესურსები ჩავიტანო, სახელმძღვანელოები, თანამედროვე ტექნიკა, ინვენტარი.

— აჭარა-გურიაში, ალბათ.

— დიახ, დიახ და სვანეთში, აუცილებლად.

— სვანეთში რატომ?

— მიყვარს სვანეთი.

— წეღან თქვით, რომ არ მოგწონდათ ძველი სკოლის მეთოდები. ახალი განათლების სისტემა მოგწონთ?

— ჩემი სკოლის მოსწავლეები დღეს სოფლის ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩართული. ისინი იმ ცხოვრებით ცხოვრობენ, როგორც მათი მშობლები, ანუ ჩვენ, უფროსები. ცდილობენ, მათი შესაძლებლობის ფარგლებში, არსებული პრობლემების დაძლევას. ურთიერთობენ ადგილობრივ თვითმმართველობასთან. მახსოვს, დამეწყრილ ნიადაგზე რომ ხეები დარგეს, როგორი ამაყები იყვნენ, ერთი სული ჰქონდათ ამ ნერგებს გაეხარათ და გაზრდილიყვნენ. ასეთი შემთხვევა ბევრი ყოფილა.

— არაფერი გითქვამთ განათლების რეფორმაზე?

— განათლების რეფორმა აუცილებელი იყო. კარგია, რომ ხდება რეფორმა, მაგრამ თავად რეფორმა, ჯერჯერობით, ჩემი აზრით, მხოლოდ დაანონსებულია. რაიმე კონკრეტული სახის პროგრამები, ფუნდამენტური ნაშრომები ქართული სკოლის განვითარებაზე, ჯერ ჩვენამდე არ მოსულა, ამიტომ მხოლოდ დაანონსებულ რეფორმებზე კომენტარს ვერ გავაკეთებ. მით უფრო, რომ მე ვარ ერთი რიგითი მასწავლებელი და როცა ამ დარგის ექსპერტებიც კი ვერ აკეთებენ ანალიზს, მე რა უნდა ვილაპარაკო?!

— ლადო, როგორ მიაღწიეთ იმას, რომ გლობალურ ჯილდოზე წარგადგინეს. როგორ დაგინახათ მსოფლიომ?

— საქართველოში არსებობს ორგანიზაცია კოალიცია — „განათლება ყველასათვის“. 17 არასამთავრობო ორგანიზაცია შედის ამ გაერთიანებაში. მათ მოიპოვეს აკრედიტაცია გლობალურ პროექტებში მონაწილეობაზე.

კოალიციამ ჩაატარა მასწავლებლის ეროვნული ჯილდოს ღონისძიება და 2017 წელს მე გავხდი ამ ჯილდოს მფლობელი. ამ ორგანიზაციამ წარმადგინა შემდეგ გლობალურ ჯილდოზე, თუმცა ნებისმიერ მასწავლებელს შეუძლია თავისი მონაცემები და მიღწევები გააგზავნოს. შეავსოს აპლიკაცია და წარადგინოს გლობალური ჯილდოს მოსაპოვებლად. აუცილებელია რეალურად განხორციელებული ღონისძიებების ნუსხის ჩამოწერა.

— კერძოდ?

— მაგალითად, გლობალური მოქალაქეობის კუთხით რა გაუკეთებია პედაგოგს.

— თქვენ რა გააკეთეთ გლობალური მოქალაქეობის კუთხით?

— დიდი ხანი არ არის, რაც ერთი კვირა ვიყავით სომხეთში. გავაცანით ბავშვებს ერთმანეთი. სხვათა შორის, ჩვენი მასპინძლები იყვნენ ერევნის ქართული სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები.

დიდი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით. უფრო ახლოს გავიცანით ჩვენი მეზობლები. ბავშვებმა შეიყვარეს ერთმანეთი. მაგრამ სამწუხარო ისაა, რომ იგივე ქართველმა შეიძლება გამოგჭრას ყელი. აგერ, მაგალითად, ვიღაც დომენიკი თუ ვიღაცა ყოფილა, იმასთან ფოტო მაქვს გადაღებული და იქცევა მთელი ქვეყანა. რას არ მაბრალებენ. ერთ წუთში შეიძლება ყველაფერი თურმე წყალში ჩაგეყაროს. იმ მანგომ ჩვენთან გამოიარა, მთხოვა ფოტო გადავიღოთო და ავტობიოგრაფიას ხომ ვერ მოვთხოვდი. იღიმის აფხაზავა ფოტოზეო, ატირებული ხომ არ გადავიღებდი სურათს?!

— რა გეგმები გაქვთ, ლადო?

— არა ვარ ის ადამიანი, ერთი ადგილიდან მეორეზე გადავდიოდე და დავხტოდე აქეთ-იქით. საქმე, რომელიც დაწყებული მაქვს, მინდა ბოლომდე მივიყვანო. მე ჩემი მოსწავლეების იმედი მაქვს. როცა დავბერდები, ჩემი აღზრდილები ახალგაზრდები იქნებიან, ქვეყნისთვის, სოფლისთვის კარგ საქმეებს გააკეთებენ. ვფიქრობ, რომ ამ საქმეში ჩემი პატარა წვლილიც იქნება და ჩემი კოლეგებისაც, რა თქმა უნდა.

— ბავშვებს როგორი დამოკიდებულება აქვთ თქვენი ნოვაციებისადმი?

— ჩვენ ვმეგობრობთ. როგორც მე შემიძლია მათ მივცე შენიშვნა, ისევე აქვთ უფლება მიმითითონ. სხვათა შორის, არაერთხელ მომიხდია მათთვის ბოდიში. ხანდახან მაშინაც კი, როცა მართალი ვიყავი, რადგან პრეცედენტი მთავარია.

— დღეს პედაგოგობა არ არის პრესტიჟული პროფესია. არც მაღალანაზღაურებადია. რაც ეტყვით ისეთს ახალგაზრდებს, რომ მასწავლებლობა მოუნდეთ?

— დღეს ისე რთულია მასწავლებლობა, რომ არავის სურს იყოს პედაგოგი, მაგრამ რომ იცოდნენ, რა კარგი იქნება მომავალში მასწავლებლობა, ყველა ამ პროფესიას აირჩევდა.

მე დღეს ფულის და ეკონომიკისთვის არ ვშრომობ. ჩემი სკოლა არის ჩემი ოქროს აკვარიუმი.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

მიშა, ოთხმოცდაცხრამეტპროცენტიანი ქართველი და თამაშგარეთ დარჩენილი მიშას მამა და ბაბუა

მიხეილ გალანდსკის რამსები ისევ აერია – იმის ნაცვლად, რომ ფსიქიატრიული ტესტი ჩაეტარებინა, ამერიკაში გენეტიკური ტესტი ჩაიტარა. ახლა ამტკიცებს, 99%-იანი ქართველი ვარ, ხოლო ჩემში 1% ბერძნული სისხლიაო. მართალია, „დაკუმენტი“ არ წარმოუდგენია, მაგრამ თუ მის დავთრებს დავუჯერებთ, ამ ამბავში საერთოდ არ ჩანს ბაბუამისი მიხეილი, რადგან ის 100%-იანი სომეხი გახლდათ და ამით ამაყობდა კიდევაც. შესაბამისად, გალანდსკის განცხადების თანახმად, თამაშგარე მდგომარეობაში რჩება მამამისი ნიკოლოზიც. ამოცანა გვეკითხება: საიდან აღმოჩნდა მიხეილ სააკაშვილის ორგანიზმში ქართული სისხლის 99 და ბერძნული სისხლის 1 პროცენტი, ვისი შვილია, ანუ ვინ გააკეთა ეს ტაშკუილა?! მოდით, ჯერ მის განცხადებას გავეცნოთ

სრულად, შემდეგ კი ვიმსჯელოთ მის ნამდვილობასა თუ არანამდვილობაზე.

მიხეილ გალანდსკი წერს: „წვეთი სისხლი არაა ჩემში არაქართული – ცნობისმოყვარეობამ მძლია და გავიარე ამერიკაში ძალიან პოპულარული გენეტიკური ტესტი. თითქმის 99%-ით ქართველი აღმოვჩნდი და 1%-ით ბერძენი. ეს ტესტი ზუსტად განსაზღვრავს შენი წინაპრების წარმომავლობას, მინიმუმ ბოლო ათასობით წლის განმავლობაში. არ აღმომაჩნდა არც ერთი კვეთა რეგიონის სხვა მოსახლეობასთან. ამ კვლევის მიხედვით ირანი და თურქეთი დაკავშირებულია საქართველოსთან, ოღონდ, იმის გამო, რომ ამ ორ ქვეყანაში ისტორიულად ბევრი ქართველია.

აღმოჩნდა, რომ ჩემი წინაპრები საერთოდ არავისთან არ არეულან ქართველების გარდა მრავალი საუკუნის განმავლობაში და მე პირველმა დავარღვიე ეს ტრადიცია, ევროპელთან ქორწინებით. ყველა მეზობელს პატივს ვცემ და რა თქმა უნდა, ყველა ეთნიკური წარმოშობის საქართველოს პატრიოტი მიყვარს, მაგრამ აბა ახლა მოდით, იმათ გაიარონ გენეტიკური ტესტი, ვინც მუდმივად სხვა ეთნოსს მაკუთვნებდნენ და ედავონ მერე ზუსტ გენეტიკურ მეცნიერებას“.

ვერ მოგატყუებთ, მიხოლოგობას ნამდვილად ვერ დავიბრალებ, მაგრამ მოგიყვებით ერთი ფაქტის შესახებ, რომლის მომსწრეც თავად გავხდი: 2008 წელია... ის პერიოდი, მიხო რომ გადადგა, კენჭი ხელახლა იყარა და ვითომ რომ მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები. ინაუგურაციამდე ორი დღით ადრე მთავრობის აპარატიდან რედაქციაში დარეკეს, თქვენზე სამი მოსაწვევია და წაიღეთო. მივედი მთავრობის სასახლეში (ქაჯეთის ციხეს რომ ეძახიან), პირველ სართულზე ჩოჩქოლია, ვიღაც იქაჩება, ნერვიულობს და ითხოვს მოსაწვევს. შევხედე (არ დაიჯერებთ), მიხეილ სააკაშვილის მამა, ნიკოლოზია. გოგოები ეხვევიან, თან დაბნეულები უმტკიცებენ, ბატონო ჩვენო, თქვენზე მოსაწვევი არ არის და რა ვქნათ, როგორ მოგართვათო? როგორ არ არის, მე ხომ პრეზიდენტის მამა ვარო? ისინი მხრებს იჩეჩავენ, აშკარად არ სჯერათ, რომ პრეზიდენტის მამაა, ვიღაც თვითმარქვია ჰგონიათ. გოგოებს ვეუბნები, მართლა ის არის, ზედა სართულებზე ვინმეს შეატყობინეთ, თორემ ეს კაცი აქედან არ წავა-მეთქი. წავიდნენ, ვიღაცა მართლაც შეაწუხეს და მისცეს მოსაწვევი. ამ მომენტს ხელიდან როგორ გავუშვებდი? ნიკოლოზთან გასაუბრება ვცადე – ეს როგორ, თქვენთვის მოსაწვევი სახლში არ უნდა მოეტანათ-მეთქი? ჯერ გაურკვევლად რაღაც ჩაიბურდღუნა, მერე კი ძლივს ამოღერღა, არ მომიტანესო, ეგრე მოხდაო.

ამ ამბავმა მაშინვე დამაფიქრა, მიხო ამ კაცს მამად არ აღიარებს და ნეტა რატომ-მეთქი? როგორც ხედავთ, ამაზე პასუხი თავად მიხეილ გალანდსკიმ გასცა – თუ შვილი 99%-იანი ქართველია, მაშინ მამა რანაირადღაა სომეხი? რაც ამას წინებზე თეორეტიკოსმა ბიძინა სავანელმა დაწერა, ეს ადრეც მქონდა გაგონილი გარკვეული წრეებიდან, მაგრამ მოდით, ბატონი ბიძინას მტკიცებულება ვნახოთ:

„მიხეილ სააკაშვილის ბაბუა იყო თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე – მიხეილ სააკოვი, რომლის მამამ სომხური გვარი – სააკიანი რუსეთის იმპერიის ბატონობის პერიოდში სააკოვად გადაიკეთა. ჰოდა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის კათედრის გამგე – მიხეილ სააკოვი ერთ დღეს ცეკაში დაიბარეს და როგორც კგბ-ს აგენტს, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის რექტორობა დაავალეს, თან გვარის გამოცვლა მოსთხოვეს. ჰოდა, გამოიცვალა! ჰოდა, გახდა რექტორი! ერთი პერიოდი ალიო მირცხულავა გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს„ რედაქტორი იყო. გაზეთში, არც თუ იშვიათად, მიხეილ სააკაშვილის ბაბუა წერილებს აქვყნებდა. ერთხელ სტატია რომ მიიტანა, რედაქტორი არ დახვდა, სტატია დატოვა და შემდეგი მინაწერი გაუკეთა: „ძმაო, ალიო, სტატიას რომ გაეცნობი, დარწმუნდები, რომ მე სომეხი – გაცილებით უკეთესად ვფლობ ქართულს, ვიდრე ბევრი ქართველი მწერალი.„ ბატონებო, ვინც არ დამიჯერებს, აიღოს და ამის შესახებ აკადემიურ წრეებში გაიკითხოს“.

აი, ამას ვამბობდი, რა გამოდის, თუ მიხო ნაღდმა ქართველმა (რაც არ ეტყობა) გააკეთა, ნიკოლოზი უბრალოდ მამინაცვალია და მეტი არაფერი? სირცხვილი და თავის მოჭრა! სხვათა შორის, მეგობრებო, ბატონი გალანდსკი იძახის, ჩემი წინაპრების სისხლი რეგიონის არც ერთ ეთნოსს არ შერევიაო... ამოცანა დაჟინებით გვეკითხება: მაშ, საიდან 1% ბერძნული სისხლი? მაქვს ასეთი ვერსია – როდესაც უხსოვარ დროში კოლხეთს არგონავტები ეწვივნენ და ოქროს საწმისთან ერთად ქალბატონი მედეაც გაიტაცეს, როდესაც იასონმა (ქმარმა) მედეას ულალატა და მედეამ შურისძიების მიზნით შვილები დახოცა, ერთ-ერთი შვილი ქვევრში დაიმალა, გადარჩა და აი, ის იყო სწორედ მიხეილ გა-

ლანდსკის ბაბუის წინაპარი. იარა სისხლმა, იარა, გადმოვიდა სისხლი ჯამიდან ჯამში, ქვევრიდან ქვევრში, ჭიქიდან ჭიქაში, ძარღვიდან ძარღვში, ვენიდან ვენაში და ბოლოს 1%-მა მაინც მოაღწია მიხოს ჯანში. არა, მე არ ვამტკიცებ, რომ ზუსტად ასე იყო, უბრალოდ ლოგიკური აზროვნების საფუძველზე ასეთი ვერსია გამიჩნდა – აბა, სხვა რა უნდა ყოფილიყო? თუმცა არც იმას გამოვრიცხავ, რომ როდესაც მზე-ღმერთის, ჰელიოსის ძე აიეტი კოლხეთში დასახლდა, თავდაპირველად ცოლად შეირთო კავკასიელი ნიმფა ასტეროდეა, რომლისგანაც შეეძინა ვაჟი – აფსირტოსი, სწორედ ამ აფსირტოსის შთამომავალი იყოს მიხეილ გალანდსკი. მეტიც, მიხოს მითოლოგიური სახელი უნდა იყოს აფსირტოსი, ანუ აფსი რტოს. თუ ეგრე არ არი, მაშინ რატომ იფსამს მიხო ეგრე ხშირად?!

სხვათა შორის, მიხოს წერილში არის ერთი მომენტი, რაც მაფიქრებინებს, რომ სადღაც გულის კუნჭულში კახელები ვეზიზღებით და ამიტომაც დაგვარტყა. ის ამბობს: „ირანი და თურქეთი დაკავშირებულია საქართველოსთან, ოღონდ, იმის გამო, რომ ამ ორ ქვეყანაში ისტორიულად ბევრი ქართველია“.

ჰო, კინაღამ დამავიწყდა... მიხო, მოგიტ...ან ქართულის მასწავლებელი, ერთი წინადადების დალაგებაც რომ ვერ გასწავლა ხეირიანად!

●

მოარული ამბები მიხოს წარმომავლობაზე:

სააკიანი და სააკოვი სომხეთში გავრცელებული გვარებია. ამ გვარის ორიგინალი ვერსია – სააკიანია, მაგრამ რუსეთში წასულებმა სააკოვად გადაიკეთეს, საქართველოში ჩამოსულები კი სააკაშვილები გახდნენ. როგორც დასაწყისში მოგახსენეთ, მიხოს ბაბუა – მიხეილ სააკაშვილი ამას არც მალავდა. თავის დროზე, მას თანამშრომლობა ცნობილ ქართველ პოეტ ხუტა ბერულავასთან მოუწია, რომელიც იმ დროს გამომცემლობის ხელმძღვანელი იყო და სააკაშვილის წიგნი უნდა გამოეცა სამედიცინო ისტორიის შესახებ. წიგნის განხილვისას სააკაშვილს ხუტასთვის უთქვამს, არ გიკვირს, სომეხმა კაცმა ქართულად რომ დავწერე წიგნიო? ამ ამბავს ხუტა ბერულავა ხშირად იხსენებდა.

გადმოცემის თანახმად, მიხეილ სააკაშვილის (ბაბუის) მეზობლად მცხოვრები ადამიანები იმასაც ადასტურებენ, რომ იგი ერთ ხანს ნამდვილ გვარს – სააკოვს ატარებდა. 1950–58 წლებში სამედიცინოს რექტორი გახლდათ, რადგან სტალინის დროს გორელებს წყალობდნენ. გორელ სააკაშვილებზე ცნობებს იაკობ გოგებაშვილიც გვაწვდის. მართალია, ნაწარმოებში ნახსენები სომეხი მღვდლის ვინაობა დოკუმენტურად უცნობია და ტერტერათი მოიხსენება, გოგებაშვილს იგი შემთხვევით არ მოუნათლავს სომეხ სააკაშვილად. მოგეხსენებათ, იაკობ გოგებაშვილის სოფელი გორთან ახლოს მდებარეობს და ამ გვარის ნამდვილი წარმომავლობა კარგად იცოდა.

●

და ბოლოს, სერიოზულად.

მიხო, შენ რომ ძაან მაგრად არ აჟუილებდე, რა შუაშია ახლა სომხობა, ბერძნობა და ქართველობა? იყავი პრეზიდენტი და დედა მოუტ...ანი ქვეყანას. შენთან პრეტენზიები გვქონდა არა სომხობის, არამედ ფაშისტობის გამო. ბოლო-ბოლო, თუ კაცად არ ვარგიხარ, არც სომხობა გიშველის, არც ქართველობა და არც რომაელობა. გინდა გენეტიკური ტესტი ჩაიტარე, გინდა – ანტიკური, ლეში ხარ და ლეშად დარჩები!

ვიმეორებ: ერთი ტარაკუა ლეში ხარ!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ვინ მოსთხოვს პასუხს ნიკა გვარამიას, რომლის „დიაგნოზით“ საქართველო ყ...ბის ქვეყანა ყოფილა?!

ნიკა გვარამიამ, მეტსახელად, „გაუპატიურებულმა ოფოფმა“ „განსხვავებულ აქცენტებში“ კიდევ ერთხელ მიაყენა შეურაცხყოფა ქართველ პარლამენტართა ერთ ნაწილს და ყველა, ვინც „ნაცმოძრაობის“ რეჟიმად გამოცხადებას მხარი დაუჭირა, სამი სკაბრეზული ასოსგან შემდგარი სახელწოდების „საგნად“, ანუ ყ..დ გამოაცხადა.

ცხადია, ამ განმარტებით, ყ..დ შეიძლება ჩაითვალოს არა მარტო პარლამენტარები, არამედ ის მოქალაქეებიც, რომლებიც თვლიან, რომ „ნაცმოძრაობის“ ცხრაწლიანი მმართველობა, ეს იყო რეჟიმი, რომელიც უნდა გასამართლდეს.

თუ იმასაც მივიღებთ მხედველობაში, რომ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით, 70% „ნაცმოძრაობას“ დანაშაულებრივ რეჟიმად მიიჩნევს, გამოდის, რომ საქართველო სულ ყ..ბით ყოფილა დასახლებული.

თავმოყვარე ერი ამის მთქმელს

და მკადრებელს, სათანადო პასუხს მოსთხოვდა, მაგრამ, ქართველებმა ამჯერად წაუყრუეს გათავხედებულ გვარამიას, რომელსაც ეს შეურაცხყოფაც ხახვივით შერჩება, ისე, როგორც ბევრი სხვა რამ შერჩა და დედის რძესავით შეირგო.

სამაგიეროდ, ნიკოლოზ გვარამიას ძალიან მოეწონა თამარ ჩუგოშვილის განმარტება: „ნაცმოძრაობის“ მმართველობა, ცხადია, რეჟიმი იყო, მაგრამ ისინი დღეს ჩვენი ოპოზიციაა და ოპოზიციას ასეთი ხერხებით ხომ ვერ გავანადგურებთო?!

— აი, ნამდვილი პოლიტიკოსის პოზიცია, აი, ნამდვილი პოლიტიკური აზროვნებაო, აღტაცებული ჭყლოპინებდა „გაუპატიურებული ოფოფი“ და ჩუგოშვილის მისამართით ხოტბა-დიდებას დაუშურებლად აღავლენდა.

ჩუგოშვილის სიტყვებში არ გეცნოთ ხიდაშელ-უსუფაშვილის ლექსიკა? პარლამენტის ექსსპიკერ უსუფაშვილისა და მისი თანამეცხედრისთვისაც ხომ ნაცმოძრაობის გადარჩენა პოლიტიკური სივრცის ზედაპირზე ტივტივი ხომ დემოკრატიის მთავარი ღირებულება და მონაპოვარი იყო. ჩუგოშვილიც, ისევე როგორც ხიდაშელი-უსუფაშვილის დუეტი უცხოეთიდან მსუყედ დაფინანსებულ იმ „სამჭედლოში“ ნაწრთობი კადრია, რომელსაც „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“, ანუ საია ჰქვია. იმიტომ ჰგავს ასე ძლიერ სოროსის სკოლაგავლილთა ლექსიკონი ერთმანეთს.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, როცა რესპუბლიკელები და „თავისუფალი დემოკრატები“, „ქართულ ოცნებას“ უკვე ჩამოშორებულნი იყვნენ და მათ პარლამენტში მოხვედრის ნულოვანი შანსი ჰქონდათ, „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარემ, ადვოკატმა ნიკოლოზ მჟავანაძემ „საერთო გაზეთთან“ ინტერვიუში აღნიშნა, რესპუბლიკელები კი მიდიან, მაგრამ „ქართულ ოცნებაში“ თუ ისევ მათი „მემკვიდრეები“ მოვიდნენ ე.წ. სამოქალაქო სექტორიდან, სახელგვარებს დიდი მნიშვნელობა არ აქვს, ისევ გაგრძელდება ქვეყნის ინტერესების წინააღმდეგ მოქმედება, რაც საბოლოოდ კატასტროფამდე მიგვიყვანსო. სამწუხაროდ ჩვენი რესპოდენტის პროგნოზი გამართლდა.

ვინ მოიყვანა ეს კონტიგენტი და დესანტის სახით ვინ ჩასვა „ქართულ ოცნებაში“? მავანთ რომ კითხო, ყველაფერში ბიძინა ივანიშვილია დამნაშავე, ზოგი შეგნებულად „აწვება“ ამ ჩვენებას, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცის, 2016 წლის საპარლამენტო სიის შედგენაში, ყველაზე ნაკლებად მიუძღვის ბრალი. „ავ ენებს“ თუ დავუჯერებთ, ეს სია ფაქტობრივად ოკეანისგაღმელმა „მეფისნაცვალმა“, მისტერ იან კელიმ შეადგინა. ამ საზოგადოებას, რომლისთვისაც თურმე მხოლოდ ერთი კაცია ყველაფერში დამნაშავე, ან თვითონ ჭირდებათ ამის თქმა, ანდა იმ ხალხს, ვინც ამათ უკან დგას, ვგულისხმობთ პოლიტიკოსებს. იმედი აქვთ, რომ ბიძინა ივანიშვილის დისკრედიტაციით, უფრო მალე ჩამოიშლება ხელისუფლება. საკითხავი ის არის, პოლიტიკოსობაზე პრეტენზიის მქონენო, თქვენ რამდენად გექნებათ ხელისუფლებაში მოსვლის პერსპექტივა, თუნდაც თქვენი რეიტინგიდან გამომდინარე. ზოგიც ამათი ფეხის ხმას არის აყოლილი, რადგან ჰგონია, ამას ისეთი ცნობადი სახეები ამბობენ, როგორ შეიძლება სიმართლე არ იყოსო. ამ კონტიგენტის საყურადღებოდ! ვითარებაში უკეთ გასარკვევად ცნობილი უფლებადამცველის, ნანა კაკაბაძის „საერთო გაზეთისთვის“ მიცემული ინტერვიუდან ამონარიდს მოვიშველიებ, – „ჩვენ დაპყრობილი, დამონებული ქვეყანა ვართ ხელში ფურცლით, რომ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ. დროშა და ჰიმნი რომ გვაქვს, ამიტომ ვართ დამოუკიდებელნი? საკუთარ ქვეყანაში კანონის მიღებას ვერ ვწყვეტთ. პრემიერს ვერ დავნიშნავთ, საელჩო თანხმობას თუ არ გვეტყვის. თქვენ, როგორ ფიქრობთ ჩუგოშვილი ივანიშვილმა მოიყვანა ხელისუფლებაში, ან ლომჯარია ბატონი ბიძინას არჩევანია? რეალური, ჩრდილოვანი მმართველობა მოვიძიოთ, იმას შევებრძოლოთ და დავუპირისპირდეთ“.

ნაცრეჟიმის შეფასებაში „თავშეკავებული“ ირაკლი კობახიძე განცხადებით გამოვიდა, შეფასებას ვეთანხმებით, რომ საკაშვილის რეჟიმი დანაშაულებრივი იყო, მაგრამ ამას გამართული რეზოლუცია ჭირდება. არსებული რეზოლუცია გაუმართავი იყო, შეუძლებელია მისი მხარდაჭერა. გამართული შეფასება და გაფორმება ჭირდება და ამაზე მსჯელობისთვის მზად ვართო.

ინტერნეტმომხმარებლებს სულ უკვირდათ, რატომ უკეთებდა იგნორირებას მმართველი პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ მიღებულ რეზოლუციას, რომელიც ნაციონალების მმართველობის დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადებას ითვალისწინებდა და პარლამენტში წარდგენამდე 300.000-ზე მეტმა ადამიანმა მოაწერა ხელი მოწერილი. ხელისუფლებისგან მოვითხოვთ მხარი დაუჭირონ ამ რეზოლუციას, დაისაჯონ ნაცჯალათები და „ნაციონალური მოძრაობა“ აიკრძალოს, როგორც პარტია. ან აქამდე რატომ არ შეისმინა ხელისუფლებამ ხალხის მოთხოვნა და არ გამოაცხადა ნაციონალები დამნაშავე რეჟიმად, რომლებიც ქუჩაში ხოცავდნენ უდანაშაულო ხალხს, არბევდნენ ჟურნალისტებს, ამაზრზენი მეთოდებით შეურაცხყოფდნენ პატიმრებს და წამებით კლავდნენ, ქონებას და ბიზნესს ართმევდნენ ხალხს, დაკარგეს ტერიტორიებიო, ამ კითხვას სვამდა ყველა საღად მოაზროვნე. საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შემდეგ, როცა ნაციონალები წინასწარ ზეიმობდნენ „ნაკაგებეშნიკარი“ ღრიშა-ღრიღორი ვაშაძის გაპრეზიდენტებას, ირმა ინაშვილმა არაერთხელ განაცხადა, მათ შორის ბათუმსა და თბილისში გამართულ აქციებზე, რომ ამ რეზოლუციის პარლამენტში კენჭისყრის დროს გაირკვეოდა, თუ ვინ იყო ნაციონალების ფარული მხარდამჭერი თუ მოკავშირე. „მეოცნებეთა“ ნაწილის და კოლექტიური ნაცების „ჩახუტების“ შესახებ ეჭვს ისიც აძლიერებდა“, რომ ამ უკანასკნელთ, რომლებსაც ე.წ. საპროტესტო აქციებზე 5.000 მხარდამჭერიც კი ვერ გამოყავთ, მათ საპრეზიდენტო კანდიდატს თურმე 800.000-მა კაცმა მისცა ხმა. ახლა ყველაფერი გარკვეულია, მოხდა ლუსტრაცია იმ ხალხის, რომლებიც თავიანთი

მოღალატეობრივი საქციელით ძირს უთხრიან საქართველოს სახელმწიფოებრიობას. დღეს ჩანს, რომ ე.წ. ძველი გვარდია არის ისევ იმ ღირებულებების სადარაჯოზე, რითაც „ქართული ოცნება“ პოლიტიკაში მოვიდა.

გთავაზობთ „ქართული ოცნების“ იმ დეპუტატების სიას, ვინც ხმა მისცა ნაციონალების მმართველობის დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადებას: **ირაკლი აბუსერიძე, რევაზ არველაძე, ლევან ბეჭანიძე, ეკა ბესელია, გიგა ბუკია, ბიძინა გეგიძე, ლევან გოგიჩაიშვილი, გოგა გულორდავა, ალექსანდრე ერქვანია, გიორგი თოთლაძე, ზვიად კვაჭანტირაძე, კობა კობალაძე, პაატა კვიჟინაძე, ლევან კობერიძე, კარლო კოპალიანი, გიორგი კოპაძე, კობა ლურსმანაშვილი, იოსებ მაკრახიძე, სულხან მახათაძე, გელა მიქაძე, პაატა მხეიძე, კობა ნაკაიძე, კობა ნარჩემაშვილი, ბექა ნაცვლიშვილი, ზაზა პაპუაშვილი, რუსლან პოლოსიანი, გია ჟორჟოლიანი, ერეკლე ტრიპოლსკი, გედევან ფოფხაძე, ალექსანდრე ქანთარია, მერაბ ქვარაია, ირაკლი შიოლაშვილი, გოდერძი ჩანქსელიანი, ოთარ ჩრდილელი, ზვიად ძიძიგური, მირიან ფიკლაური, გივი ჭიჭინაძე, დავით ჭიჭინაძე, შოთა ხაბარელი, ფატი ხალვაში, თენგიზ ხუბულური.**

საერთო ჯამში „პატრიოტთა ალიანსის“ ხსენებულ რეზოლუციას 45-მა პარლამენტარმა დაუჭირა მხარი. ინტერნეტსივრცეში გავრცელდა ინფორმაცია იმ დეპუტატების შესახებ, ვინც ოფიციალური ვერსიით არ ესწრებოდა კენჭისყრას (სია არასრულია), თუმცა იქვე მითითებულია, რომ ზოგიერთი პარლამენტის შენობაში კი ბრძანდებოდა, მაგრამ თავი შეიკავა ხმის მიცემისგან.

ყოველივე ამის შემდეგ კიდევ გიკვირთ, გვარამია რომ ყ...ბს გვეძახის, ხოლო ნაცები კვლავ უკან მობრუნებას რომ აპირებენ?

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ᲡᲝᲡᲝ ᲛᲐᲜᲯᲐᲕᲘᲫᲔ:

ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲦᲘᲡ ᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲨᲔᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲐᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲢᲠᲐᲛᲞᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡ ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐᲡ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲩᲐᲛᲝᲣᲦᲬᲔᲕᲘᲐ

გვესაუბრება ანალიტიკოსი, ბატონი ᲡᲝᲡᲝ ᲛᲐᲜᲯᲐᲕᲘᲫᲔ.

— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებთ, რა ხდება მმართველ პარტიაში?

— „ქართული ოცნების“ მემარცხენე ფლანგი, რომელიც ჯერჯერობით, რჩება პარტიაში, თავისი იდეოლოგიით არ განსხვავდება „ევროპული საქართველოს“ იდეოლოგიისგან. ბოკერიას შემადგენლობა და ე.წ. „ახალოცნებელები“ იდეურად ერთი ხალხია. ანუ ერთად

დგანან „ევროპული საქართველო“ — ბოკერიას ფრთა და „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ჯგუფი, რომლებიც, ჩემი ვარაუდით, დღედღეზე გაერთიანდებიან.

— როგორ ფიქრობთ, „ქართული ოცნება“ დაიშლება?

— დიდი ალბათობით, კი, დაიშლება. გასაკვირი ის არის, ან ამდენი ხანი როგორ შეინარჩუნა ივანიშვილმა პარტია, ან როგორ გაძლეს ერთად ოხანაშვილმა და ბესელიამ, ეს არის, ასე ვთქვათ, ორი ოკეანის საიდუმლოება.

— თქვენი აზრით, ბიძინა ივანიშვილმა იცოდა, პარტიაში კრიზისი რომ იყო და იმიტომ დაბრუნდა პარტიის ლიდერად, პიროვნული ფაქტორით მოინდომა პარტიის გადარჩენა?

— სასამართლო რეფორმა და პროცესები, რომლებიც 2016 წლის შემდეგ დაიწყეს, თავიდანვე იყო არასრულყოფილი. იდეოლოგიურად და ინსტიტუციონალურად გაუმართლებელი და მოუმზადებელი პროცესები ვიხილეთ — სახელმწიფო აზროვნებისგან მთლიანად დაცლილი.

მითხრას ვინმემ, როგორ შეიძლება საპარლამენტო რესპუბლიკის მშენებლობა იმ ქვეყანაში სადაც პარტია, კლასიკური გაგებით, არ არსებობს.

ყველას გვახსოვს, 2011 წელს მიხეილ სააკაშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებები რომ დაიწყო. მოგეხსენებათ, არც მას და არც მის მოკავშირეებს ამერიკაში, არ სურდათ საქართველო მიშას გარეშე და მან საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის მომზადება დემეტრაშვილს და შარმანაშვილს დაავალა. შეგახსენებთ, დღეს შარმანაშვილი კობახიძის მრჩეველია.

მაშინ მიხეილ სააკაშვილს არ შეეძლო გაემეორებინა პუტინის სქემა — დაენიშნა პრეზიდენტად ვინმე და მერე კვლავ თვითონ დაბრუნებულიყო პრეზიდენტად, რადგან ეს თვალნათლივი იქნებოდა და მოდელის გამეორება გამოდიოდა. ამას არც ამერიკელები დაუშვებდნენ და არც ადგილობრივი საზოგადოება. ამიტომ მიშამ გადაწყვიტა, თვითონ დარჩებოდა პარტიის თავმჯდომარედ, პარტია იქნებოდა მკაცრად იერარქიული, მიშაზე დამოკიდებული, ხოლო მას კონკურენტი არც ჰყავდა. პრემიერ-მინისტრს ნიშნავდა პარლამენტი, რომლის უმრავლესობა იქნებოდა „ნაცმოძრაობა“. პრეზიდენტი იმუშავებდა შეკვეცილი უფლებებით. მოგვიანებით, კი იგი კვლავ პრეზიდენტად დაბრუნდებოდა. ეს იყო მისი ჩანაფიქრით კიდევ ერთი 8-წლიანი სრულიად ლეგალურ-ლეგიტიმური მმართველობა და ჭკვიანურად მოფიქრებული, სხვათა შორის.

არაერთხელ ვუთხარი და შევახსენე ეს „ქართულ ოცნებას“ და გავაფრთხილე, რომ არ შეიძლებოდა ამ სქემის მიყოლა.

ბატონი ბიძინა პრემიერობიდან თვითონ გადადგა. უბრალო „მოქალაქე“ გახდა. პრეზიდენტი თავისკენ ექაჩებოდა ძალებს და ა. შ. იმის მაგივრად, რომ „ქართულ ოცნებას“ გაეცნობიერებინა მდგომარეობა, დაიწყო დაშლა.

დღეს სახეზე გვაქვს სრულიად დაუბალანსებელი სისტემა, სადაც ამ სისტემის ნაწილები მიემართებიან აბსოლუტურად სხვადასხვა მიმართულებებით და ვინც ამბობს, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, ელექტორატი იმედით განეწყობა მათ მიმართ, სასაცილო მდგომარეობაში იგდებს თავს.

— „ოცნების“ ერთ-ერთმა ლიდერმა ამასწინათ თქვა: უმრავლესობიდან კი გადიან წევრები, მაგრამ ახლა მთავარია, ეს რღვევა საზოგადოებას არ გადაედოსო.

— გადასულია უკვე და ეგ არის. შორს არ წავიდეთ და გავიხსენოთ შევარდნაძის პერიოდი. როცა მოულოდნელად, სადღაციდან გაჩნდა ახალგაზრდული ჯგუფი — ჟვანია, საakაშვილი, თარგამაძეები და ა. შ.

ახლაც საიდანღაც გაჩნდნენ მანამდე უცნობი ძალები. ძალაუფლება ჯერ ხელში არ ჩაუგდიათ, მაგრამ, დაახლოებით, იგივე პროცესები მიმდინარეობს, რაც შევარდნაძის დროს. იმ განსხვავებით, რომ, როგორც ვფიქრობ, ეს ბიძინა ივანიშვილს არ უნდა, შევარდნაძე კი წინააღმდეგი არ იყო.

მაშინ ყველა ლაპარაკობდა, რომ შევარდნაძემ პროცესების ინსპირაცია მოახდინა და ეს იყო სპექტაკლი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს არ იყო სპექტაკლი. შევარდნაძე ბოლომდე მონაწილეობდა იმ თამაშში, რათა საბოლოოდ მყუდრო თავშესაფარი ჰქონოდა. თანაც ასეთ პოზას პირველად არ იჭერდა. აფხაზეთის ომის დროსაც, სანამ სოხუმიდან არ გამოგვაძევეს, მანამდე ეგონათ მის ფანებს: ბაბუმ ყველაფერი იცისო.

ბატონი ბიძინას ფინანსური შესაძლებლობები და სტატუსი არ არის საერთაშორისო პოლიტიკური ჯგუფების თვალში მმართველობაში დარჩენის გარანტია.

მას უამრავი სიკეთე აქვს გაკეთებული, მაგრამ არსებობს პარადოქსალური დისბალანსი მის მიერ დახარჯული ფულის და მის მიმართ აგრესიულად განწყობილ ადამიანებს შორის. წარმოუდგენელი რამ ხდება საქართველოში — 3 მლრდ. დაახარჯა კაცმა ქვეყანას და ამდენი მოწინააღმდეგე ჰყავს, ყოველივე ეს, სამწუხაროდ, მისი საკადრო პოლიტიკის და იმ გაურკვევლობის შედეგია, რაც ხალხში სუფევს.

არავინ იცის და არავინ აწოდებს ხალხს კონცეფციას, რანაირ ქვეყანას ვაშენებთ და სად მივდივართ, საერთოდ.

პოლიტიკურ პოსტებზე დანიშნული ფავორიტების ლანძღვა-გინებით გაშვება, მოსახლეობაში უდიდეს აგრესიას იწვევს და მიკვირს, რატომ ვერ აცნობიერებენ ამას „ქართულ ოცნებაში“.

ვინმეს დაავიწყდა, როგორ წავიდა კვირიკაშვილი?! იმ ბრალდებების შემდეგ, რაც მოვისმინეთ კვირიკაშვილზე, ან დამბრალებელი რომ არ ისჯება და არც ის, ვისაც დააბრალეს, რა დავარქვათ ამას?

ეს ადამიანებში წარმოუდგენელ აგრესიას იწვევს და გადაჭარბებული არ ვიქნები შეფასებაში, თუ ვიტყვი, რომ მასობრივი შიზოფრენიის მდგომარეობაში ვართ. ღვარად მოედინება ტყუილები, დეზინფორმაცია და ეს დამთრგუნველად მოქმედებს ადამიანებზე.

— „ქართული ოცნება“ პარტიად ვერ შედგა, მაგრამ სხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალაც რომ არ არსებობს?

— საქმე ისაა, რომ, სამწუხაროდ, ეს არეულობა, შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირებაში გადაიზარდოს და როგორც გამხმარ თივას ცეცხლი, ისე აბრიალდეს ყველაფერი. აქ ყველას ყველა სძულს, მსოფლიოში კი სხვა პროცესები ვითარდება.

მოდის ტრადიციონალური ტრენდი — ძველი ევროპული ელიტები, მონარქიული, კლერიკალური, კონსერვატიული ჯგუფები იქმნება ახალი დღის წესრიგით, იქმნება ახალი პოსტლიბერალისტური სამყარო, სადაც ჩვენი როლის შესახებ დღე და ღამე უნდა ვფიქრობდეთ და თავის გადარჩენაზე ვზრუნავდეთ, ვეძებდეთ

მოკავშირეებს. სამაგიეროდ, ჩვენ ძველი ქიმერების ტყვეობაში ვრჩებით. იმის მაგივრად, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ არსებულ ინტელექტუალურ პოტენციალს ვუყრიდეთ თავს და ვქმნიდეთ გარკვეულ ცენტრებს გადარჩენისა და განვითარებისათვის, დაკავებული ვართ იმით, რაზეც ზემოთ ვილაპარაკეთ.

მაგალითს მოვიყვან: ძველი რომი რომ იშლებოდა, სარდლები რომის იმპერიის პროვინციებში თავიანთი ლეგიონებით იყვნენ გაბატონებული. ლეგიონები, ჩვენს შემთხვევაში, ფინანსური და პოლიტიკური რესურსებია.

მაგალითად, აზერბაიჯანში ბაიდენის ვაჟი მართავს ენერგეტიკულ პროცესებს.

ჩვენი ხელისუფლება კი არის ამერიკის დემოკრატიული რესპუბლიკის უკიდურესად მემარცხენე ფლანგის გავლენების ქვეშ, რომელთანაც ტრამპის ადმინისტრაციას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვს გამართული.

ამას ემატება რუსეთის ფაქტორი, თურქეთის, ირანის და სხვა ლოკალური მოთამაშეების გავლენები. ეს ძალები თავიანთ ინტერესებს საქართველოში დაუბრკოლებლად ახორციელებენ, რადგან საქართველოში ბარიერად გარკვეული სახელმწიფოებრივი პოლიტიკა არ ხვდებათ.

ჩვენი „ახალოცნებელები“ მთლიანად იმ ლიბერალური ძალების პროექციები არიან. იგივე სოროსის, მაკკეინის. საქართველოში ტრამპს ჯერ არ ჩამოუღწევია — არასამთავრობები, მედია, სრულად არის ე.წ სოროსელების ხელში.

— რას ფიქრობთ, როგორ პოზიციონირებს ამ სიტუაციაში ბიძინა ივანიშვილი?

— დარწმუნებული ვარ, ის ბევრს ფიქრობს და არც ის მიმაჩნია, რომ მარტივი ადამიანია, თუმცა, როგორც უკვე გავიხსენეთ შევარდნაძის მაგალითი, და ვისაც ჰგონია, რომ შევარდნაძემ თვითონ მართა თავისი ჩამოგდება, ამაზე საუბარი არასერიოზული იქნება.

გამოცდილება არსებობს, ამას უნდა ითვალისწინებდეს ის, ვინც უნდა ითვალისწინებდეს და ის ილუზია, რომ პოლიტიკური ველი მოსუფთავებულია და არაა ძალა, რომელიც საფრთხეს შექმნის, ილუზია გახლავთ.

როცა არ არსებობს კონკრეტული პირის მყარი ლეგიტიმაცია ხალხისგან, მაშინ არის სწორედ უმძიმესი ვითარება...

ქვეყნისთვის ახალი დღის წესრიგის შეთავაზებაა საჭირო.

ᲘᲠᲐᲜᲓᲐ ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲔ
594 56 11 18

ხათ(ქ)უნა ბებო – საბაყაყეთის დედოფალი

პოლიტიკური ნოველა

დაიღალა... არა, ხორცი დაეღალა, თორემ სული ისევ ძველებურად ხათქუნობს, ორგანიზმში ისევე ბობოქრობს, როგორც 2003-ში და მანამდე ბობოქრობდა, როცა ბიოლოგიური დაამთავრა და ლაბორატორიაში ბაყაყებს კვეთდა. ბედი გინდა ამ ცხოვრებაში... სწორადაა ნათქვამი, ბედი მომეცი და მერე თუ გინდა, სანაგვეზე გადამაგდეო. რომ არა ზურაბ ჟვანია, მომავალი პრემიერ-მინისტრი, ისევ ბაყაყებთან ექნებოდა საქმე. პრინციპში, დღესაც ბაყაყებთან აქვს ურთიერთობა, მაგრამ ესენი გარეგნობით ადამიანებს ჰგვანან. სხვათა შორის, ძალიან საინტერესო პროფესია ჰქონდა, სანამ კანონების წერას და არჩევნების გაყალბებას დაიწყებდა – მოკლავდა ბაყაყს, მოვიდოდა წვიმა ან სეტყვა, არ მოკლავდა – იქნებოდა გვალვა და უბედურება. ერთი დიდი სიამოვნებაა, როცა ქვეყნის მეტეოროლოგიური სისტემა შენს ხელთაა, როცა ამინდს შენს ნებაზე ათამაშებ. ამ დროს სული ძალუმად ხათქუნობს და აშკარად გრძნობ, რომ ამინდის ქალღმერთი ხარ. აი, როგორ გითხრათ... ამ დროს თითქოს ჰერას, აფროდიტეს, ათენას, დიანას და არტემიდას ტანზე ტანზე ტანზე ... ეს რაღაც უფრო მეტია, ამ დროს ცერერა ხარ, მიწის, მიწათმოქმედების, წვიმის, ჟინჟღლის, თოვლის, ჭყაპისა და გრიგალის ქალღმერთი. თან არ დაგავიწყდეთ, ცერერა ჩემსავით ბებერი ქალწულია, ზევსის გაუთხოვარი და საყვარელი შვილი. ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როცა შენს გვერდით მიწათმოქმედების მამა, მიხეილ მაჭავარიანი დგას. თუმცა დგას რა, იდგა, ეხლა სად არის ჩაკარგული, თვით ზევსმაც არ იცის, უკვე წლები გადის, არ დაურეკავს, არ მოვუკითხივარ, ბიძინა ივანიშვილმა რა ჩასჩურჩულა ყურში, მხოლოდ მან და ბიძინამ იციან. 2012 წლის შემდეგ თვეების განმავლობაში იკავა თავი, უწია წინააღმდეგობა ოლიგარქს, მაგრამ ბოლოს მაინც იმძლავრა ჭორვილულმა ბუნებამ, იყივლა სისხლმა და მითხრა, ხათ(ქ)უნ, მე წავედი პოლიტიკიდან, მეყო, რაც ვიბაირამე, უნდა დავისვენო, ლექციებს წავიკითხავ, ჭორვილაში მამულებს მივხედავო. თუ არ გეზარება, შენც წადიო, იცოდე, არჩევნები რომ აყალბე შევარდნაძიდან მოყოლებული, არ გაპატიებენო. თავისი ჭკუით, ვითომ შემაშინა. არადა, ჩემი შემშინებელი ჯერ არ დაბადებულა, ვაყალბებდი და კიდევაც გავაყალბებ, არა, ბიჭო

მიდას დაქალი ბრძანდები. არა, არა, ეს რაღაც უფრო მეტია, ამ დროს ცერერა ხარ, მიწის, მიწათმოქმედების, წვიმის, ჟინჟღლის, თოვლის, ჭყაპისა და გრიგალის ქალღმერთი. თან არ დაგავიწყდეთ, ცერერა ჩემსავით ბებერი ქალწულია, ზევსის გაუთხოვარი და საყვარელი შვილი. ყველაზე დიდი ბედნიერებაა, როცა შენს გვერდით მიწათმოქმედების მამა, მიხეილ მაჭავარიანი დგას. თუმცა დგას რა, იდგა, ეხლა სად არის ჩაკარგული, თვით ზევსმაც არ იცის, უკვე წლები გადის, არ დაურეკავს, არ მოვუკითხივარ, ბიძინა ივანიშვილმა რა ჩასჩურჩულა ყურში, მხოლოდ მან და ბიძინამ იციან. 2012 წლის შემდეგ თვეების განმავლობაში იკავა თავი, უწია წინააღმდეგობა ოლიგარქს, მაგრამ ბოლოს მაინც იმძლავრა ჭორვილულმა ბუნებამ, იყივლა სისხლმა და მითხრა, ხათ(ქ)უნ, მე წავედი პოლიტიკიდან, მეყო, რაც ვიბაირამე, უნდა დავისვენო, ლექციებს წავიკითხავ, ჭორვილაში მამულებს მივხედავო. თუ არ გეზარება, შენც წადიო, იცოდე, არჩევნები რომ აყალბე შევარდნაძიდან მოყოლებული, არ გაპატიებენო. თავისი ჭკუით, ვითომ შემაშინა. არადა, ჩემი შემშინებელი ჯერ არ დაბადებულა, ვაყალბებდი და კიდევაც გავაყალბებ, არა, ბიჭო

უთხრა ამას წინებზე, ეგ რადიკულიტია, დასაძინებლად რომ ჩაწვები, „გრელკაც“ ჩაიწვინეო, ან აგური გააცხელე, შალის ნაჭერში გაახვიე და რომელი მხარეც გაწუხებს, იქ დაიდეო. ییიჰ... ეგღა აკლია, ახლა „გრელკა“ და აგური დაიდაქალოს. მერე რა, რომ ხორცი ბერდება, სული ისევ ხათქუნობს ძალუმად, გული კი ფეთქავს 25 წლის ამორძალივით. ხათ(ქ)უნა რის ვაი-ვაგლახით მიხუნხულდა კარამდე, „გლაზოკში“ გაიხედა.

– უییییი... შენ არ მამიკვდი, ბოკუჩავა, რას დაწანწალობ ამ ქარსა და ყიამათში? – გასძახა და ურდული გააჩხაკუნა.

– დროზე გააღე, ქალო, გამეყინა ყოლიფერი! – შემოქაქანდა თინა ბოკუჩავა, ხათ(ქ)უნა ჰაერში გადაკოცნა ზრდილობის გულისთვის, ჩანთა საწოლზე მოისროლა და

სავარძელში ჩაენარცხა.

– რეიზა გეგეყინა ყოლისფერი, კოტიკო არ გყამს სახლში თუ? – გადახედა ირონიულად ხათ(ქ)უნამ და დოინჯი შემოიყარა.

– არა, სახლშია, მაგრამ გადაჰყვა პარტიულ საქმეებს... იქით ტელევიზიებიო, აქეთ რადიოებიო, პრესა, გენაცვალე, მთელი ქვეყნიერება მაგას ეკითხება ჭკუას, სადღა სცალია ჩემ გასათბობად?!

– ეეეჰ... პოლიტიკა მსხვერპლს ითხოვს, დალოცვილო, აბა, როგო გინდა? აგე, მე რეიზა დავრჩი ყარაულაშვილ ქეთოსავით? რა, ქმარშვილში ვერ გავფუფუნდებოდი ზოგიერთი გოიმივით? არა, გენაცვალე, როცა სამშობლო ითხოვს, უნდა წახვიდე კიდევაც მსხვერპლზე!

– მივდივარ, აპა, არ მივდივარ? შენ კი იცი, ხათ(ქ)უნა ბებო, რომ

მივდივარ კი არა და... ხსირად მალაყზეც გადავდივარ, ხომ ნახე, როგორ გადავედი საკრებულოს წინ პოლიციის მხრებზე? სწორედ იმ დღეს დააპატიმრეს ჩემი კოტიკო! – თქვა თინამ და ერთი ღრმად ამოიხვნეშა.

– აბა, გოგო, ღმერთმა გაძლება მოგცეს, მეც ძალიან განვიცადე კოტიკოს დაპატიმრება... თურმე ბიძინას უბრძანებია მაშინ, მარტო პატიმრობა არ აკმაროთ, ხირსაში გადაასახლეთ, სადაც თავის დროზე

დეკაბრისტები ჩამოიყვანეს რუსეთიდანო. წარმოგიდგენია, რა ცივსისხლიანი არსებაა?! – მიუგო ხათ(ქ)უნამ და „ჩაინიკი“ გაზზე შემოდგა.

– შენ გახარებას, ჩაი არ მინდა, რამე მაგარი დამისხი, ალკოჰოლური, – გადაატრიალა დაღლილი თვალები თინამ.

– ვისკი მაქვს, კოტიკოსავით გაგათბობს.

– ჰო, დამისხი, მაგრამ იცოდე, მე კოტიკოსავით ვერავინ გამათბობს.

– ვიცი, მაგრამ ისე გითხარი, ქარაგმულად, ალეგორიულად.

– იცი, რაზე მოვედი? საიდუმლო დავალებაა ამსტერდამიდან, – ხმას დაუწია თინამ.

– უი, მიხოდან? – შეცბა ხათ(ქ)უნა.

– ძალიან გთხოვ, სახელებსა და გვარებს ნუ ახსენებ, დღეს კედლებსაც კი ყურები აქვთ გამობმული, ბიძინა ყველას გვისმენს, – სახე აელეწა თინას.

– ჰო, კარგი, მითხარი, რაო, იმან?

– რაო, გოგო და... ხათ(ქ)უნას გადაეცით, ევროპულსაქართველოელობას შეეშვას ცოტა ხნით და მომავალ არჩევნებში მოგვეხმაროს, საპრეზიდენტოში რომ არ დავუჯერეთ, ამიტომაც წავაგეთო... არა, კი მოვიგეთ, მაგრამ ფაქტობრივად მაინც წავაგეთო.

– ისე, რაღა დაგიმალო, ჩემო თინავ და... ბოლო დროს საკაშვილი ჭაობში მოყიყინე ბაყაყს მაგონებს... რომელიც პერიოდულად მეცოდება კიდევაც, – თქვა ხათ(ქ)უნამ და ცხვირი აიბზუა.

– რა თქვი?! – წამოხტა სავარძლიდან თინა.

– მიშა ჭაობში მოყიყინე ბაყაყს მაგონებს... ბაყაყი წყალში ყიყინებს, რა ვერ გაიგე?

– უییი... სულ ტყუილად მოვსულვარ შენთან, რასაა, რომ კადრულობ და ვისაა, რომ ჰკადრებ ეგეთ რამეებსა? – დადგა დოინჯით თინა, რომელიც მზად იყო, ქალბატონ ხათ(ქ)უნას ზურგზე შემოხტომოდა და ერთი გემრიელად ჩაეჩქმიტ-ჩაელურჯებინა.

– რა იყო, შე ქალო, რა ვთქვი ახლა ისეთი?

– რა იყო და... მე შენს ბელად ჭუტალას ვაკრიტიკებ? კოტიკოს სული ნუ წამიწყდება, არ ვარგა ეგრე, არა... თუ ჩვენ ერთმანეთს დავჭამთ, ბიძინიე გაიხარებს და უფრო გაფუფუნდება!

– ვინ არი ჭუტალა? – მხრები აიჩჩა ხათ(ქ)უნამ.

– იცი კარგად, ვინ არი... ცოლი რომ ჰყავს თხასავით!

– ჰო, კარგი, ნუ გწყინს, ვიხუმრე, – დათმო პოზიციები მასპინძელმა.

– აი, ეგ მომწონს შენში, როცა საჭიროა, ბოდიშის მოხდაც შეგიძლია.

– გოგო, არ დაგიმალავ და ბოლო დროს ხშირად ვხედავ სიზმარში ბაყაყებს, გეგონება სულში მიძვრებიან და ყიყინებენ. აი, ხომ ჩავბერდი პარლამენტში, ჩემზე ძველი იქ აღარავინ დაგორავს, წესით სულ კანონები უნდა მესიზმრებოდეს, მაგრამ არა, სულ ბაბაყები, ბაყაყები და ბაყაყები.

– დასვენება გჭირდება, გენაცვალე, რომ შეაკალი თავი სამშობლოს, ეგრე სად არი, ვინ დაგიფასებს? თუ გგონია, როცა მოკვდები, ოქროს კუბოში ჩაგასვენებენ, ძალიან ცდები! – დასვა წერტილი თინამ.

– კაი, დაივიწყე... რაო, რა მინდაო, მიშამ?

– რაო და... ემიგრანტები გვეხმარებიან, ძან მოწადინებულნი არიან, 2020-მდე ბიძინა უნდა დავამხოთ და არჩევნები ჩავატაროთო. საარჩევნო შტაბი გოგორას უნდა ჩავაბაროთ, მაგან იცის ყველაფერი, მაგ საქმეში სპეცია, შევარდნაძეც კი პრეზიდენტად აკურთხაო, – ჩაიხითხითა თინამ.

თინამ გაიხურა თუ არა კარი, ხათ(ქ)უნა ეგრევე მობილურს ეცა და გიგა ბოკერიას მოახსენა ყველაფერი. ბოლოს კი ისიც დაამატა, რომ ბაყაყმა თინამ მას ჭუტალა უწოდა. მეორე მხრიდან მხოლოდ ხითხითი ისმოდა. ბოკერიამ ერთი ღრმად ამოიხვნეშა და თქვა, ეგ ტელეფონზე სალაპარაკო არ არის, ოლიგარქი გვისმენსო, ხვალ მოხვალ პარტიაში და იქ გადაწყდება ყველაფერიო. ჰო, კიდევ ისაო, მიშა გენეტიკურ კვლევებს იტარებს და ნეტა მომავალი არჩევნებისთვის როგორ მოიცალაო? ერთი რა მაგის პასუხია და... ბაყაყებს ეროვნება თუ გააჩნიათო? უი, მაგაზე არ მიფიქრიაო, მიუგო ხათ(ქ)უნამ და ჩაბჟირდა, ეგ საიდანღა მოიფიქრე, შე თუქსუსოო?

პარლამენტში ჩაბერებულ გოგორას ისევ წელკავმა შემოუტია. „კრაოტთან“ კვნესა-კვნესით მიგორდა და საბნის ქვემოდან შეგორდა. ნეტა ეს ქარი ვინღამ მოიგონაო? – ჰკითხა საკუთარ თავს და თავზე ხილაბანდი წაიკრა. დაახლოებით ერთი საათი იწვა და იშავდღევა, მერე კი თვალები მილულა და ბაყაყთა საამო ყიყინს დანებდა.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

მათე ტაკიძე:

რა უნდა იყოს იმაზე მშვენიერი, მისცე ადამიანს შესაძლებლობა, შეცვალოს მომავალი უკეთესობისკენ?

მე მას რამოდენიმე წლის წინ შევხვდი, როდესაც ჩემი პოეზიის საღამოს გაუწია ორგანიზება, როგორც ორგანიზაცია „წმინდა ანდრიას ჯვრის“ დამფუძნებელმა. ის ასევე კოლეჯ „სპექტრის დირექტორია, აკეთებს ქვეყნისთვის სასიკეთო უამრავ საქმეს. ბატონი მათე ტაკიძე დღეს „საერთო გაზეთის“ სტუმარია.

— ბატონო მათე, თქვენ ბრძანდებით პროფესიული განათლების ცენტრის დირექტორი, რომელიც ინოვაციებით გამოირჩევა, გთხოვთ გვიამბოთ კოლეჯ „სპექტრზე“ და ზოგადად პროფესიული სასწავლებლის ინოვაციურ მიდგომებზე.

— 2018 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა, მიიღო კანონი, პროფესიული განათლების შესახებ, სადაც ერთ-ერთი მთავარი პუნქტი, საშუალო განათ-

ლების ატესტატის გათანაბრება პროფესიული განათლების დიპლომთან.

ბავშვები, რომლებიც ამთავრებდენ საშუალო სკოლას, შემდეგ მიდიოდნენ პროფესიული განათლების მისაღებად, მათ უწევდათ ატესტატისათვის გამოცდების ექსტერნად ჩაბარება, რაც თავისთავად პრობლემებთან იყო დაკავშირებული, ეს ხარვეზი აღმოფხვრილია.

მეორე საკითხი, რომელზეც ჩვენ ვმუშაობთ, არის არაფორმალური განათლების აღიარება, ბევრი ადამიანი არის საქართველოში გარკვეული პროფესიის მქონე, მაგრამ მათ არ აქვთ არანაირი დამადასტურებელი საბუთი, ვგულისხმობ დიპლომს ან სერთიფიკატს მათი განათლების აღიარების შესახებ. ამაზე პილოტურ რეჟიმში მიდის მუშაობა და ეს ძალიან კარგ შედეგებამდე მიგვიყვანს. ერთი რამ ცალსახაა, პროფესიული განათლება არის მნიშვნელოვანი ქვეყანაში ეკონომიკის განვითარებისთვის, შეიძლება პარადოქსულად მოგეჩვენოთ, მაგრამ ქვეყანაში არის უამრავი ვაკანტური ადგილი და არ არიან ადამიანები, რომლებიც მოცემულ პოზიციებზე იმუშავებენ.

— ბატონო მათე, ანუ ქვეყანაში სადაც ადამიანები მუდმივად წუხან, რომ ვერ საქმდებიან, არის ვაკანტური ადგილები და კადრები არ გვყავს?

— დიახ, აგიხსნით, აი ავიღოთ თუნდაც სამშენებლო, საინჟინრო ტექნოლოგიებზე, ინჟინრებზე, ინოვაციურ ტექნოლოგიებზე არის კომპანიებიდან მოთხოვნა და შესაბამისი კადრების სიმცირეა.

— თქვენ მოიცავთ მხოლოდ დედაქალაქს, თუ მთლიანად საქართველოს მასშტაბით ხდება პროფესიული განათლების მიღება და გადამზადება?

— ჩვენ დავიწყეთ რეგიონებში გასვლა 2018 წელს, სამოცდაათამდე საჯარო შეხვედრა გვქონდა რეგიონებში და მინდა გითხრათ, ჩვენთან ცნობიერების ძალიან დაბალი დონეა, არ არის ინფორმაცია იმის შესახებ, რომ პროფესიული განათლების მიღების ხელმისაწვდომობა საქართველოში არის მაღალი!

დავიწყეთ ორი მიმართულებით მუშაობა, ეს არის მოდულარული და დუალური განათლება, რომელიც გახლავთ გერმანული მოდელი, ეს არის შრომაზე დაფუძნებული სწავლება, როდესაც კომპანიების ბაზებზე გადიან სწავლების დაახლოებით 70%-ს. გარდა ამისა, ისინი ხელშეკრულებით უკავშირდებიან კომპანიებს და სტიპენდიებს იღებენ სწავლის ბოლომდე. ბენეფიტები არის ორმხრივი. ისინი საქმდებიან და კომპანიას ეძლევა საშუალება თვითონ შეარჩიოს ის კადრი, რომელიც მას სჭირდება თავისი ბიზნესის განვითარებისთვის.

მინდა გითხრათ, რომ ათეულობით ბიზნესი დღეს ეჯახება სერიოზულ პრობლემებს და ეს პრობლემები გამოიხატება კვალიფიციური კადრების არქონაში!

ჩვენ სამასამდე კომპანიასთან გვაქვს მჭიდრო ურთიერთობა. მსხვილ, საშუალო და მცირე კომპანიებთან და ყველგან იდენტური პრობლემაა.

კვალიფიციური კადრების სრული დეფიციტია ქვეყანაში!

ხომ ცალსახაა, რომ თუ ბიზნესი ვერ განვითარდება, ეკონომიკაც ვერ წაიწევს წინ, ამიტომ ჩვენ დავიწყეთ ბევრი მიმართულებით მუშაობა როგორც კერძო სექტორთან, ასევე დონორებთან, ჩვენ მოვიგეთ „მილენიუმის“ გრანტი, რომელიც არის ძალიან მნიშვნელოვანი კომფაქტი, დაახლოებით 14 მილიონი დოლარი დაიხარჯა ამერიკის მხრიდან საქართველოში პროფესიული განათლებისთვის. ჩვენ მსხვილი ინვესტიცია განვახორციელეთ კოლეჯის განვითარებისთვის, შევქმენით თანამედროვე ლაბორატორიები, პროგრამები, ჩვენი პარტნიორი გახლავთ მსოფლიოს წამყვანი მედია ჰოლდინგი „პირსონი“. ბრიტანელმა ექსპერტებმა ჩვენს ექსპერტებთან ერთად დაწერეს ახალი პროგრამები და გავიარეთ საერთაშორისო ავტორიზაცია, გვაქვს საშუალება ჩვენს სტუდენტებს მივცეთ დიპლომები, რომლებიც ასორმოცდაათ ქვეყანაში გამოიყენება, ჩვენს სტუდენტებს აქვთ საშუალება გაიარონ ტესტირება და დასაქმდნენ სხვადასხვა ქვეყნებში, ეს იქნება პოლონეთი, ჩეხეთი, გერმანია.

— რამდენად ხშირია შემთხვევა, თქვენი სტუდენტების სხვა ქვეყნებში დასაქმებისა ბატონო მათე და რა პირობში უწევთ მათ მუშაობა?

— ესენი არიან ლეგალურად დასაქმებული, სამუშაო ვიზის მქონე ადამიანები, შრომის უფლებების სრული დაცვით, დამატებითი ანაზღაურებით, თუ კი ისინი მოითხოვენ შაბათს და კვირას, სამუშაოდ, ან რვასაათიანი სამუშაო დღის გაზრდას. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენგან წასული ადამიანი არ არის შიშის ქვეშ! მისი უფლებები სრულად დაცულია და არ ელის დეპორტი! მე მოვუწოდებ ემიგრანტებსაც, ვისაც მალულად უწევს მუშაობა სხვადასხვა ქვეყნებში, გამოძებნონ დრო და თუნდაც მცირევადიანი გადამზადებით მათ ჩვენთან მოიპოვონ იმის უფლება, რომ ლეგალურად იმუშაონ უცხო ქვეყნებში დეპორტაციის მოლოდინის გარეშე.

ოთხმოცამდე ჩვენი სტუდენტი უკვე ლეგალურადაა დასაქმებული ევროკავშირის ქვეყნებში და მათზე მოთხოვნა უფრო იზრდება ამ ქვეყნების მხრიდან, თუმცა ჩვენთვის პრიორიტეტულია ადგილობრივ ბაზარზე დავასაქმოთ ჩვენი სტუდენტები.

ძალიან ბევრ ინვესტორთან გვაქვს ურთიერთობა და როდესაც მათი მხრიდან კვალიფიციურ კადრებზე არის მოთხოვნა ჩვენ ვაწყდებით პრობლემას, როგორც ზემოთ ავღნიშნე — დეფიციტს კვალიფიციური კადრების!

ამიტომ ჩვენ ვიწყებთ ბაზარზე ძიებას ადამიანების, რომლებსაც გრზელვადიანი ან მოკლევადიანი გადამზადებით ვაქცევთ სასურველ კადრად.

— ბატონო მათე, ასაკობრივი ცენზი მოქმედებს პროფესიული განათლების მიღების მსურველებზე?

— საშუალო სკოლის ცხრა კლასდამთავრებულს შეუძლია გახდეს ჩვენი სტუდენტი, ზედა ზღვარი არ არის დადგენილი., ნებისმიერ მოქალაქეს, რომესაც აქვს სურვილი გადამზადდეს მისთვის სასურველ სეგმენტში, შეუძლია მოაკითხოს პროფესიული განათლების ცენტრს. სწავლება არის უფასო!

წამყვანი ეკონომიკური ქვეყნების მოქალაქეები არ ცხოვრობენ ერთი პროფესიით, ამიტომ მე მოვუწოდებ ჩვენს მოსახლეობას, რომ გამოიყენონ ეს შანსი და თუ ექნებათ სურვილი ორი ან მეტი პროფესიის დაუფლების, ნუ გაუშვებენ ამ შანსს ხელიდან!

— რატომღაც საქართველოში ყველა აკადემიური განათლებისკენაა აქცენტი

— დიახ ასეა, რატომრაც მხოლოდ აკადემიური განათლებაა ტრენდული და ეს უდაოდ მცდარი აზრია, ეს არის ალტერნატივა, რომელზეც უარი არ უნდა ვთქვათ რადგან გარკვეულწილად ჩვენს მყარ მომავალს განაპირობებს.

ჩვენთან მოქალაქეებს 250-ზე მეტ პროფესიას შეუძლიათ დაეუფლონ!

ეს სწავლება ფინანსდება სახელმწიფოს მხრიდან, ამაში ჩართულია განათლების სამინისტრო, ჯანმრთელობის სამინისტრო, ქალაქ თბილისის მერია, მათი მხრიდან ხდება აბსოლუტური ხელშეწყობა მოქალაქეებისადმი

ასევე კომპანიების მხრიდანაც ხდება სწავლის დაფინანსება, რის შემდეგაც ავტომატიურად საქმდებიან მათივე ბაზაზე.

— ბატონო მათე, იქნებ ორგანიზაცია „წმ. ანდრიას ჯვარზეც“ გვესაუბროთ?

— დიახ, ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ეხმარება ხელოვან ადამიანებს საღამოების გამოფენების პრეზენტაციების გამართვაში, მოგეხსენებათ ჩვენს ქვეყანაში არის სერიოზული ეკონომიური პრობლემები, ამის გამო ძალიან ბევრი ხელოვანი, დამწყები თუ უკვე შემდგარი ვერ ახერხებს პერსონიფიცირებას.

ესენი არიან ადამიანები, რომლებიც უნდა წავახალისოთ, მოტივაცია მივცეთ, ასე ვთქვათ აღმოვაჩინოთ და ვაღიაროთ.

ქართველები უზომო ნიჭიერებით გამოვირჩევით და რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ რათა ეს ნიჭი არ ჩავკლათ, პირიქით, „მიეცით ნიჭსა გზა ფართო“

მათ ფართო ასპარეზი სჭირდებათ და ვეცდები მათ გვერდით ვიდგე ყოველთვის და თუ ისინი ჩემი დახმარებით თავს უკეთესად იგრძნობენ, ეს ჩემთვის დიდი პატივია, მისცე ადამიანს შესაძლებლობა შეცვალოს მომავალი უკეთესობისკენ, რა უნდა იყოს ამაზე მშვენიერი?

ფიქრია ყაზაიშვილი

განხორციელდება თუ არა სამხედრო შეჭევა ვენესუელაზე?

სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში სახელმწიფო გადატრიალებები სამყაროში არავის უკვირს. ამ მხრივ განსაკუთრებით „ნაყოფიერი“ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარი იყო. თუმცა რევოლუციები ამ საუკუნეშიც გრძელდება. ხელისუფლებების ცვლილებები წინათ განსხვავებული მეთოდებით ხდებოდა, მაგრამ იმან, რაც ახლა ვენესუელაში ხდება, ბევრისმნახველი პოლიტოლოგებიც კი გააკვირვა. ერთი თვის წინ ქვეყნის პარლამენტის ხელმძღვანელმა ხუან გუაიდომ მოულოდნელად პრეზიდენტობა მოინდომა და თვითმქრქვიას ბევრმა დაუჭირა კიდეც მხარი. პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ. გუაიდოს ქვეყნის შიგნითაც გამოუჩნდნენ მხარდამჭერები ოპოზიციის სახით.

პოლიტოლოგები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზეც, რომ გუაიდოს ქვეყნის მომავალი განვითარების რაიმე კონკრეტული გეგმა არა აქვს. ყოველ შემთხვევაში, ხალხისთვის არ წარუდგენია, მხოლოდ მოქმედი პრეზიდენტის ნიკოლას მადუროს გადადგომას ითხოვს. გასულ კვირას მადურომ გუაიდოს შესთავაზა, დანიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რასაც გუაიდომ დუმილით უპასუხა. „გუაიდო ვაშინგტონის ხელდასხმულია. მას ეშინია არჩევნების დანიშვნა, რადგან იცის, ხალხი მხარს არ დაუჭერს. იგი თვითმარქვია კლოუნია“, — განაცხადა მადურომ მის მქხარდამჭერებთან აქციაზე გამოსვლისას. მოქმედმა პრეზიდენტმა კოლუმბიასთან და ბრაზილიასთან საზღვრების გამაგრების ბრძანება გასცა.

ვენესუელაში თავდაცვის რეჟიმზე გადავიდნენ. ამას ადასტურებს მეზობელ ქვეყნებთან დამაკავშირებელ გზებსა და ხიდებზე აღმართული ბარიკადები და სასწრაფოდ გათხრილი სანგრები... გუაიდომ ჯერ კიდევ პირველი საპროტესტო აქციების შემდეგ 23 თებერვლამდე მისცა ვადა მადუროს, რათა გადამდგარიყო თანამდებობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ძალით დაატოვებინებდნენ პოსტს. გუაიდო იმავე დღეს გეგმავდა ჰუმანიტარული ტვირთის კოლუმბიის მხრიდან ვენესუელაში შეტანას. თუმცა მადურო და მისი მხარდამჭერი მოსახლეობა წინააღმდეგი იყო მიეღოთ ჰუმანიტარული დახმარება იმ ქვეყნისგან, რომელსაც მათ მიმართ არაკეთილგანწყობილად თვლიან.

დათქმულ ვადამდე ორი დღით ადრე კოლუმბიაში ვენესუელის საზღვრის ახლოს გაიმართა ვენესუელის ოპოზიციის მხარდამჭერი საქველმოქმედო კონცერტი, რომელშიც აშშ-იდან ჩასული მომღერლებიც მონაწილეობდნენ. საპასუხო აქცია კარაკასშიც გამართა ლოზუნგით: „ხელები შორს ვენესუელისგან“. ჰუმანიტარული ტვირთის მისაღებად კოლუმბიაში ხუან გუაიდო ჩავიდა, მიუხედავად იმისა, რომ მას სასამართლომ აუკრძალა ქვეყნის დატოვება. გუაიდომ ტვირთი მიიღო და ვენესუელისკენ გაემართა, მაგრამ პოლიციამ და ჯარმა არ შეუშვეს ქვეყანაში. აღსანიშნავია, რომ გუაიდო ერთ-ერთი სატვირთო მანქანის საფეხურზე შეხტა და ასე აპირებდა ვენესუელაში გადასვლას. ორიოდე მეტრის შემდეგ ჩამოხტა და კვლავ „ჯიპში“ გადაჯდა. ავტომობილების მძღოლებმა ვერ

გაბედეს წინაღობის გარღვევა და მიატოვეს მანქანები.

ჰუმანიტარული ტვირთის შეჩერებას არეულობა მოჰყვა. ოპოზიციონერებმა სამხედროებს ქვები და „მოლოტოვის კოქტეილები“ დაუშინეს. საპასუხოდ ჯარმა რეზინის ტყვიები და ცრემლსადენი გაზი გამოიყენა. ვენესუელის საზღვრისპირა რაიონები, ფაქტობრივად, საბრძოლო მოქმედებების არეალად გადაიქცა. გავრცელებული ინფორმაციით, ასეულობით დაშავებულების გარდა არიან დაღუპულებიც, რომელთა რიცხვმა 25-ს გადააჭარბაო. იმასაც ამბობენ, რომ მადურომ ციხეებიდან კრიმინალები გამოუშვა და სამხედრო ფორმაში ჩაცმულები სწორედ ისინი ამყარებენ წესრიგს ბრაზილიის საზღვართან. თუმცა დამამტკიცებელი ფაქტები არავის წარმოუდგენია.

გუაიდოს მიერ „ბრძოლის ველის“ მიტოვების შემდეგ ოთხ სატვირთოს ცეცხლი გაუჩნდა. მისმა მომხრეებმა ბრალი სამთავრობო ჯარს და მადუროს მომხრეებს დასდეს. თუმცა აღსანიშნავია, რომ დასახელებულთაგან ახლოს არავინ იმყოფებოდა. უცნობია ასევე, თუ რა სახის დახმარებით იყო დატვირთული მანქანები. ოპოზიციონერებმა ისარგებლეს არეულობით და ცეცხლმოკიდებული მანქანების ძარცვა დაიწყეს. გავრცელებულ კადრებში კარგად ჩანდა, თუ როგორ ორგანიზებულად აშზადებდნენ გუაიდოს მომხრეები „მოლოტოვის კოქტეილებს“. საეჭვოდ გაუჩინარდენ დანარჩენი მანქანები. ჰუმანიტარული ტვირთის მიღებაზე უარს მადურო იმით ხსნიდა, რომ ამ გზით სურდათ ქვეყნის არაკეთილმოსურნეებს ქვეყანაში იარაღის შეტანა. აღნიშნული მანქანების გაუჩინარებამ კიდევ უფრო გაუღრმავა ვენესუელის მოქმედ ხელისუფლებას ეჭვი, რომ ქვეყანაში ოპოზიციის შესაიარაღებლად შეჰქონდათ იარაღი.

კოლუმბიაში იმყოფებოდა და მოვლენებს აკვირდებოდა აშშ-ის წარმომადგენელი ვენესუელის საკითხებში ელიოს აბრამსი, რომელიც პრესასათან შეხვედრას და ობიექტივს შეძლებისდაგვარად თავს არიდებდა. აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მაიკლ პომპეოს განცხადებით, ყველა საშუალებას გამოიყენებენ ვენესუელაში დემოკრატიის დასამყარებლად. მანვე გასულ კვირას ერთ-ერთ ტელეინტერვიუში თქვა, რომ ანალოგიური რევოლუციები კუბასა და ნიკარაგუაშიც იგეგმება.

მეზობლებზე განაწყენდა ნიკოლას მადურო და კოლუბიასთან ყველანაირი დიპლომატიური კავშირი გაწყვიტა. დიპლომატებს 24 საათი მისცა ქვეყნის დასატოვებლად, რომლებმაც ორი დღის წინ უკვე ფეხით გადაკვეთეს ვენესუელის საზღვარი. ამასთან, კოლუმბიის ხელისუფლებას მადურომ ფაშისტური უწოდა, რადგან აშკარად ერევიან ვენესუელის შინაურ საქმეებში. როგორც ვხედავთ, მადურომ რევოლუციის პირველი ტალღა მოიგერია. ამასთან, ჯარის ძირითადი ნაწილი მისი მხარდამჭერია, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ათეული, დეზერტირებად შერაცხული ჯარისკაცი ოპოზიციის მხარეს გადავიდა. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, ვენესუელაში რევოლუცია ჯერ კიდევ გაგრძელდება. ოპოზიციის მომავალ სამოქმედო გეგმაზე კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში ე.წ. „ლიმას ჯგუფის“ წევრი ქვეყნები იმსჯელებენ. სწორედ იქ გაირკვევა, განხორციელდება თუ არა სამხედრო შეტევა ვენესუელაზე. მოსახლეობის დიდი ნაწილი ჰუმანიტარულ დახმარებაზე კვლავ უარს ამბობს და მხარს აქტიურად უჭერს მადუროს.

შარშან რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა ფედერალური კრებისადმი ყოველწლიური მიმართვისას დააანონსა ახალი იარღი, მათ შორის სხვადასხვა სახეობის რაკეტები. მაშინ ბევრმა სერიოზულად არ აღიქვა მისი განცხადება. წლევანდელ მიმართვაში პუტინმა აღნიშნა, არავისზე შეტევას არ ვაპიორებთ, მაგრამ საფრთხის შემთხვევაში სათანადო პასუხს გავცემთო. ამასთან, განაცხადა, რომ საპასუხო შეტევის ობიექტი გახდება არა მარტო ის ქვეყანა, საიდანაც წამოვა საფრთხე, არამედ ბრძანების გამცემი ცენტრიც. როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, პუტინმა აშშ იგულისხმა, რომლის რაკეტები განთავსებულია რუმინეთში, პოლონეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში. „...ჯერ გაიანგარიშონ ჩვენი რაკეტების სიჩქარე, ქვეყნებს შორის მანძილი და ისე მიიღონ გადაწყვეტილება“, — განაცხადა პუტინმა ფედერალურ კრებაზე გამოსვლისას.

რუსეთის რაკეტების ტექნიკური დახასიათებას ვერ დავიწყებთ, მაგრამ მოვიყვანთ ერთ-ერთი სამხედრო ექსპერტის მოსაზრებას. კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა ე.წ. რაკეტა „ავანგარდის“ აღმოჩენა, მან უპასუხა, კი შეიძლება, მაგრამ რა შეღავათი, თუ მისი ქვეყნისკენ მიფრინავს, მხოლოდ თეთრი ზეწარის გადაფარებას მოასწრებსო. შავი იუმორითაა ნათქვამი, მაგრამ დასაფიქრებელია, მათ შორის, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვისაც.

საინტერესოა, რომ აშშ-ის პრესა-ტელევიზია ერთხმად ურჩევს დონალდ ტრამპს, გაითვალისწინოს პუტინის გზავნილები, რეალურად შეაფასოს რაკეტების სიძლიერე, რომელთა განეიტრალება კი არა, მათგან თავდაცვაც შეუძლებელიაო.

ისრაელელი სამხედრო ექსპერტი იაკობ კედმი: „...სამწუხაროდ, დღეს მსოფლიოში მოაზროვნე ხალხი ცოტა თუ დარჩა. ვინც ელემენტარული არითმეტიკა იცის, ადვილად გამოითვლის, რამდენ წუთშია შესაძლებელი მათი ქვეყნის განადგურება რუსეთის რაკეტებით... დღეს რუსეთის იარაღი გაცილებით ეფექტურია, ერთი-ორი თაობით მაინც უსწრებს დასავლურ ანალოგებს... კარგი იქნება, თუ აშშ-ის პოლიტიკოსები გონს მოვლენ. გაითვალისწინებენ თუ არა პუტინის გზავნილს, ამაზეა დამოკიდებული აშშ-ისა და, საერთოდ, მსოფლიოს ბედი“.

გასულ კვირას ევროპის ცენტრში, ბელგიაში სკანდალი აგორდა. როგორც ირკვევა, მოსახალეობის გარკვეული ნაწილი გერმანიის ხელისუფლებისგან კვლავ იღებს პენსიას, რომელიც 1941 წელს ჰიტლერმა ერთგულების ნიშნად დაუნიშნა. ფიურერი მაშინ მოსახლეობას დაჰპირდა, რომ შემწეობას მათი შთამომავლებიც მიიღებდნენ. გერმანიის დღევანდელი ხელისუფლება თავს იმართლებს, როგორც მემკვიდრეები, ვალდებულები ვართ, პენსიები გადავუხადოთო.

გია ბურდული
551 71 27 07

შავნაბადას ეცეკვე, ნაზი!

შუაღამეა, იმერული ცეკვავს გიტარა,
და ცის სარკმელზე გაკიდულა გრაალის თასი,
მოდი, შევავსოთ რქაწითელით სულის ფიალა,
და შავჩოხიან შავნაბადას ეცეკვე, ნაზი!
ავაზასავით დაჭიმულა შუბლზე იარა,
ავაზასავით გაწოლილა ტკივილის ხაზი,
შემოგხვევია მოცეკვავეს ლურჯი ხვიარა
და საქართველოს საწუხარი გაწუხებს, ნაზი.
ყური დაუგდე, სიგიჟემდე კვნესის გიტარა,
და აივანზე იცრემლება ბებერი ვაზი,
ო, თუ ქალი ხარ, მომაწოდე სავსე ფიალა
და მტრის ჯინაზე, შავნაბადას ეცეკვე, ნაზი.

თინათინ მღვდლიაშვილი

მისთვის საქართველო იყო უმთავრესი

ნაზი ნავროზაშვილი, მრავალმხრივი შემოქმედი, არტისტული ბუნებით შემკული. ლაღი, ცეცხლოვანი ენერგიის. ეროვნული სულის ქალბატონი. იყო ფართო დიაპაზონის მსახიობი სცენაზეც, ეკრანზეც, კოლორიტული, სახასიათო პერსონაჟებთან ერთად. გახლდათ დრამატული, ტრაგიკული სახეების უბადლოდ შემსრულებელი, დიდი ქარიზმის მქონე. ამიტომაც, საოცრად შეიყვარა მაყურებელმა მისი როლები: სარე („ეზოში ავი ძაღლია“), კაროჟნა („დარისპანის გასაჭირი“), ქრისტინა(„პავლე კორჩაგინი“), ცირა(„მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“), დედა მაია („ზარები გრიგალში“) და ა.შ.

იგი უდიდესი ძალისხმევით იბრძოდა დამოუკიდებლობისათვის ზვიადისა და მერაბის გვერდით. ჭეშმარიტი ინტელიგენციის სახესა და არსს წარმოადგენდა. მარად შემართული, თითქოს ქართლის დედასავით, მრისხანეცა და მიმტევებელიც. მტრების მიმართ შეუბრალებელი და მამხილებელი. ერთგულებისათვის გვერდით დამდგომი და დამრიგებელი.

მახსოვს, ავთო რცხილაძის სასამართლო, ელიზბარ ჯაველიძის სასამართლო, ქართველთმოძულეების წინააღმდეგ მისი სიტყვა, რომლითაც ქარიშხალივით გადაუფრინა ავის მზრახველებს და ერის ვაიმამებს და ისეთი ინტელექტუალური ქოქოლა დააყარა, რომ სახეზეც კი დაეტყოთ ამ გრიგალისაგან მიყენებული ტკივილი. ვიხსენებ, დედათა მიტინგიდან როგორ მოუწოდებდა “მე შეცდომილთ“, რომ მტრის იარაღად არ შესულიყვნენ ისტორიაში. დიახ, ეროვნული საქმე მისთვის პირველი იყო. ცუდია, როცა წარსული დროით გვიწევს მასზე საუბარი. წავიდა, ზეცას აღევლინა მისი სული და იქ, ზეციურ საქართველოში, ილიას, ზვიადისა და მერაბის სამყოფელში შეიტანს ახლა სულიერ ენერგიას და მადლს, რათა მიწიერ საქართველოს იქედან შთაბეროს განუსაზღვრელი ენერგია, ბრძოლისა და გამარჯვებისა.

გიორგი ძოწენიძე,
ისტორიულ მეცნიერებათა
კანდიდატი, ასოცირებული
პროფესორი

ნაზი ნავროზაშვილი

ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე

მას არ შეეძლო უმოქმედოდ ყოფნა, არც სხვას აძლევდა ამის საშუალებას. არ დაგიდევდათ არც ასაკს, არც სტატუსს, არც წარმომავლობას. მის გვერდით აუცილებლად შემოქმედად იბადებოდი.

პატარებს ბილეთებს შეგვიდგენდა ხოლმე, გვათამაშებდა და ასე გართობაში ზრდილობას, ქალთან, უფროსთან, სუფრასთან ქცევას გვასწავლიდა, ან თოჯინების თეატრს დაგვიდგამდა და სათამაშოების პირით, კიდევ ცოდნას გვაწვდიდა.

ბაღის ასაკიდანვე მქონდა ბედნიერება, მის მიერ დადგმულ ბავშვთა სპექტაკლებში მიმეღო მონაწილება. სწორი მეტყველება, სიტყვებზე მახვილის სწორად დასმა, აზროვნება, სიღრმე, მთელი ცხოვრება გამომყვა. ჩვენი პატარაობის გამო, არანაირ კომპრომისს არ დაუშვებდა, როგორც პროფესიონალებს, ისე გვთხოვდა ცეკვას, მოძრაობას, სინქრონს, აბსოლუტურ სისწორეს, ეს იყო საოცრება. ჩვენს სპექტაკლებს ისეთი მოწონება ხვდებოდა ხოლმე, რომ სცდებოდა საბავშვო ბაღის სივრცეს და ანშლაგით მიდიოდა ფილარმონიის სცენაზე.

წარმატებით დაამთავრა ისტორია-ფილოლოგიური ფაკულტეტი, მერე შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი, წლების განმავლობაში უამრავი საინტერესო სახე შექმნა ქუთაისის ლადო მესხიშვილის სახელობის თეატრის სცენაზე, სატელევიზიო სპექტაკლებში. იყო კინოსტუდია “ქართული ფილმის” მსახიობი. მისი კაროჟნა (“დარისპანის გასაჭირი”, რეჟ. გოგი ქავთარაძე) შევიდა საქართველოს “ოქროს ფონდში”, როგორც საუკეთესო. ამასვე აღნიშნავდნენ საქართველოს და მოსკოვის თეატრის კრიტიკოსები: აკ. გეწაძე, ა. შალუტაშვილი, აკ. ბაქრაძე, ნ. ველეხოვა. „გასაოცარია მსახიობი ნაზი ნავროზაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მისი პარტნიორები გამოცდილი მსახიობები არიან, მაინც იგი გამახსოვრდებათ. მას არ ეშინია სენტიმენტალური ტრაგედიის გათამაშებისა სცენაზე“, — წერდა ხელოვნებათმცოდნე ალ.შვიდკოი, მოსკოვში თეატრის გასტროლებისას. ანტონ წულუკიძე და ამირან შალიკაშვილი არაერთგზის აღნიშნავდნენ ნაზის შეფასებისას მის განსაკუთრებულ პლასტიკაზე და სცენურ მომხიბვლელობაზე. დიახ, თეატრი მისთვის იყო ყველაფერი და ყველაზე მაღლა!

მსახიობის დატვირთულ რეჟიმს უთავსებდა ახალგაზრდებთან, სკოლებში, უმაღლეს სასწავლებლებში სპექტაკლების, კარნავალების, მხიარულთა და საზრიანთა კლუბის ღონისძიებების მომზადებას.

მოდიოდნენ, დახმარებას სთხოვდნენ ახალგაზრდები. არ შეეძლო მათი გაწბილება. ღამის სპექტაკლების შემდეგ 12 საათიდან ნიშნავდა რეპეტიციებს, იყო ზეენერგიული, მომთხოვნი, მკაცრი...და შედეგიც გამარჯვებით გვირგვინდებოდა, ყოველთვის...

რეჟისორიც, სცენარისტიც, ქორეოგრაფიც, (თეატრალურ ინსტიტუტამდე ცეკვავდა სახელმწიფო ანსაბლში), კოსტუმების მხატვარი, მუსიკალური გამფორმებელი, დეკორატორი, ყველაფერს თავად უძღვებოდა და ამას უანგაროდ, ანაზღაურების გარეშე აკეთებდა.

მიუხედავად იმისა, რომ არასდროს ულხინდა.

აღზარდა უამრავი ახალგაზრდა. ყველაზე თავზეხელაღებული ბიჭები აუყვანია სცენაზე და შეუცვლია კიდეც მათი ცხოვრება.

ყველას მოეხსენება ხელოვანთაგან, სამწუხაროდ, ცოტანი აღმოჩნდნენ ისეთნი, ტყვია რომ არ უსვრიათ თავისი ქვეყნისთვის, თავის მაყურებლისთვის. ნაზიმ კი ხელოვანთაგან ერთადერთმა, უმძიმეს წუთებში, შიმშილში, სიცივეში შეძლო სცენაზე გადაეტანა ის, რაც ხდებოდა პრეზიდენტის განდევნის შემდეგ. შეძლო სცენიდან ეთქვა სიმართლე. ეს იყო ბრძოლა, შვება და იმედი ყველასათვის. (საბედნიეროდ, კადრები შენახულია.) 9 აპრილის უსინათლო ქალბატონების სიმღერით ხომ ისეთი მუხტი იყო დარბაზში, რომ ბრძოლის ჟინით ინთებოდა მაყურებელი. მტერმაც არ დააყოვნა: დაიწყო დევნა, მუქარები...ერთ-ერთი სპექტაკლის შემდეგ ოპერატორი დასისხლიანებული, ნაცემი იპოვეს კულისებში...

მერე შეიცვალა მიდგომები და სახლში მოაკითხეს, შესთავაზეს დიდი თანამდებობა კულტურის სამინისტროში და მაღალი ანაზღაურება. უარი თქვა და აირჩია ჯვარი...

აბარებდა სისხლს, რომ აღებული თანხით სიმათლისათვის დევნილებს შეშველებოდა. მისი ბასრი კალამი არ ტოვებდა უპასუხოდ არც ერთ პასკვილს. მისი მრავალმხრივი ნიჭი, როგორც რეჟისორს, მსახიობს, პუბლიცისტს, პოეტს, იუმორისტს-გახარჯული ჰქონდა სამშობლოსთვის. მთელი თავისი განვლილი ცხოვრებით ის დარჩება, როგორც საზოგადო მოღვაწე.

ახლა სამარადისოდ წავიდა ...
მშვიდობით, ნაზი დეიდა!
მშვიდობით ჩემო ძვირფასო...
გმადლობ, ჩემი ფერადოვანი
ბავშვობისთვის...
ყველაფრისათვის გმადლობ.

ფიქრია ადეიშვილი
მოსკოვი, პიროგოვის სახ.
სამედიცინო ინსტიტუტის
მეცნიერ-თანამშრომელი,
ასოცირებული პროფესორი

ცხოვრობს შაშვი მგალობელი

ცნობილი ქართველი რეჟისორი ოთარ იოსელიანი 85 წლის გახდა



ოთარ იოსელიანის ფილმებს, კარგი ღვინოების მსგავსად, დავარგება სჭირდება. ღვინის თემა უცილობლად თან სდევს მის თითქმის ყველა ნამუშევარს, გადაღებულს საქართველოში და საფრანგეთშიც – ქვეყნებში, სადაც ამ სასმელს დიდი პატივს სცემენ, თუმცა... ბატონი ოთარი ღვინოს თურმე დიდად არ სწყალობს და ამბობს, თუ მაინცდამაინც რამე უნდა დალიო, უფრო კონცენტრირებული ჯობს. რუსეთში ასეთი არაყიაო. თანაც, სახელგანთქმულ რეჟისორს მარტოდმარტო სმა ვერ წარმოუდგენია და თუ თანამეინახე არ ჰყავს, სასმელს არ ეკარება.

„სიამოვნებით ვაკვირდები ხოლმე სუფრას, თუ როგორ იქცევიან ფხიზელ მდგომარეობაში და მერე უკვე – შეზარზოშებულნი. მომწონს, როცა თვალს ვადევნებ ამგვარ მეტამორფოზებს. ჩემს ფილმებში ღვინოს სულის გასაღების ფუნქციას ვაკისრებ“, – ამბობს ბატონი ოთარი და სწორედ ამ სიტყვებშია მისი ჰაეროვანი, შეფარული იუმორითა და სიბრძნით სავსე ფილმების გასაღები – ამ ნამუშევრებში თითქოს განსაკუთრებული არაფერი ხდება, „რეალური ცხოვრების“ გარდა, არადა, კინოში სწორედ ამის გადმოცემაა ყველაზე რთული.

სოციალისტურ საქართველოში ოთარ იოსელიანმა სამი სრულმეტრაჟიანი ფილმი გადაიღო. ესენია: „გიორგობისთვე“, „იყო შაშვი მგალობელი“ და „პასტორალი“; საზღვარგარეთ გატარებული ოცდაათი წლის განმავლობაში კი – ზუსტად სამჯერ მეტი, ვიდრე საბჭოთა კავშირში ცხოვრების ოც წელიწადში. თანაც, სხვა რეჟისორებისგან განსხვავებით, რომლებიც უცხო ქვეყნებში დასახლდნენ, იოსელიანმა შეინარჩუნა თავისთავადობა, მის ფილმებს არც ინტონაცია დაუკარგავს და არც უხმაურო პათოსი. ერთადერთი, თავის გვარს ორი „ს“-ით წერს, სხვა მხრივ არაფრით შეცვლილა. იოსელიანი – უნიკალური მაგალითია რეჟისორისა, რომელიც ზედმიწევნით მოერგო სხვა ქვეყნის კინოინდუსტრიას. „მთვარის ფავორიტები“ თუ „ნადირობა პეპლებზე“ მას საქართველოშიც შეეძლო გადაეღო. «In vino veritas!» („მშვიდობით, მშობლიურო მიწავ!“) ისეთივე კონგენიალურია, როგორიც „იყო შაშვი მგალობელი“, ფილმი, რომელიც, საყოველთაო შეფასებით, კინოხელოვანის საუკეთესო ნამუშევარია. სურათი „და იქმნა ნათელი“, რომლის სიუჟეტი აფრიკულ სოფელს ეხება, „პასტორალის“ პარაფრაზია – ოღონდ, ქართველების ნაცვლად პაპუასებზე გვიამბობს.

ქვეყნიდან გამგზავრების გადაწყვეტილებას მარტივად ხსნის: „ვიცოდი, რომ კინო უნდა გადამეღო... თუ არადა, გავლოთდებოდი. საფრანგეთმა კინემატოგრაფში მუშაობის შესაძლებლობა მომცა. ასე რომ, ემიგრაციაში კი არა, სამუშაოდ წავედი“.

ბოლოდროინდელ ინტერვიუებში ოთარ იოსელიანი ახალს არაფერს ამბობს საქართველოსა და საფრანგეთში მუშაობის ათწლეულებზე. ადრე ნათქვამის გამეორებით არაფერი აკლდება უსაზღვრო რეჟისორული ფანტაზიითა და ოსტატობით გადაღებულ მის დახვეწილ ფილმებს. მათ შორისაა „შემოდგომის ბაღები“ – ეს მომაჯადოებელი ფილმი მოგვითხრობს ზრდასრული, მოწიფული ასაკის მშვენიერებაზე და იმაზე, რა შესანიშნავად შეიძლება გრძნობდეს ადამიანი თავს ამ ასაკში – სვამდეს ღვინოს, ცარცით ასფალტზე ხატავდეს, მუზიცირებდეს, მეგობარ ქალებს იცვლიდეს, მებაღეობას მისდევდეს, კინოს იღებდეს...

ოთარ იოსელიანის სიბრძნე

– ამქვეყნად ყველაზე უბედური სახელმწიფოთა მეთაურები და ის ადამიანები არიან, რომლებსაც აკისრიათ ვალდებულება, რამეს ან ვინმეს დაემორჩილონ. ასეთები არიან, მაგალითად, ინგლისის დედოფალი, მისი უძღები ვაჟი... გაიხსენეთ პოლიტბიუროს წევრები – მათზე საცოდავი და მოსახლეობის ყველაზე პრიმიტიულად მცხოვრები სხვა ფენა წარმოუდგენელია. ყველაზე ლაღი, თავისუფალი ხალხი ბომჟები, მაწანწალები არიან. საუკეთესო მაგალითია ფიროსმანის მსგავსი მხატვარი, რომელიც არც არაფერს ყიდის და რომელსაც არც ვინმესი შურს რაიმე. ყოველ ფეხის ნაბიჯზე თითქოს ჩასაფრებულია საფრთხე, რომელიც თავისუფლებას გვართმევს და ტყვედ გვაქცევს. ბევრი ფიქრობს ალბათ: „რა კარგი იქნებოდა, სახელგანთქმული მსახიობი რომ ვიყო!“ არადა, მსახიობებს, რომლებსაც ყველგან და ყოველთვის ცნობენ, საკმაოდ მძიმე ცხოვრება აქვთ, ბაზარში წასვლაც კი უჭირთ. ზოგიერთი ოცნებობს ბანკირობაზე, „მერსედესებზე“, პირად დაცვაზე... დაცვა ხომ პირად ცხოვრებაში ხელს გიშლის! იყო მდიდარი – საშინელებაა, რადგან გამუდმებით გღრღნის ეჭვი, რომ გარშემომყოფებს, უკლებლივ ყველას, შენგან რაღაც უნდათ, და, რაც მთავარია, მათ გულწრფელად არ უყვარხარ. ალბათ, არცთუ ურიგოდ უნდა გრძნობდნენ თავს გლეზები – ოღონდ, თუ ისინი არ არიან მდიდარი ფერმერები. აი, სწორედ ესენი უნდა იყვნენ თავისუფალი ადამიანები, მათ ჰყავთ მეზობლები, რომლებთანაც დღის ბოლოს შეიძლება გადაჰკრა ჭიქა ღვინო და ცხოვრების ავ-კარგზე ისაუბრო.

– არაფერია იმაზე უფრო მოსაწყენი, ვიდრე ფილმების გადაღება კომპოზიტორებზე, გენიოსებზე, მათემატიკოსებსა და მეცნიერებზე. დიდზე დიდი მეცნიერი, როცა ფლოსტებს იცვამს, არაფრით არის უფრო საინტერესო, ვიდრე ჩემი რომელიმე გმირი, თუნდაც მუშა, ამავე პროცესში. დიდი ამბავი, თუ მეცნიერია! იგი ისეთივე მოკვდავია, ისევე შრომობს, როგორც ყველა ჩვენგანი, და ამას ვერაფერი წინ ვერ დაუდგება – ისიც ჩვენსავით წავა ამ ქვეყნიდან.

– სიბერე შეიძლება იყოს მშვენიერი. სიბერე, მოხუცებულობა და არა მიხრწნილობა. სიბერე ჩვენი ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვანი და აუცილებელი მომენტია. როცა ვინმე ნაადრევად მიდის იმ ქვეყნად, გული გვწყდება, რომ ვერ მიაღწია ასაკს, როცა უკან მოიხედავდა, განვლილ ცხოვრებას თვალს გადაავლებდა, შეაფასებდა, რაღაცას ჩასწვდებოდა. ყველაფრის გაგება ჩვენთვისაც მიუღწეველია. თუმცა სიბერეში შეგვიძლია, თავი გავითავისუფლოთ იმისგან, რაც ცხოვრებაში მუდამ ხელს გვიშლიდა, რაც ზედმეტი გვგონია... შეგვიძლია, ერთი შეხედვით, უაზრო სურვილებიც ავისრულოთ. მხოლოდ ხანდაზმულობაშია შესაძლებელი გაიგო, თუ რა არის თვითონ ცხოვრების არსი, ჩაიდინო რაიმე არაორდინარული საქციელი, ამ ასაკში ხომ, ყოველ ჯერზე, ამას ისე ვაკეთებთ, თითქოს უკანასკნელიაო. ამგვარი დასკვნები ძალიან საინტერესო, სახალისო და თავშესაქცევია. უფრო ადრეულ ახალგაზრდობაში ასეთი რამ შეუძლებელია.

– ვერ ვიტყვი, რომ კინემატოგრაფს თაყვანს ვცემ და ხელოვნების გარეშე ერთ დღესაც ვერ ვიცოცხლებ. თითოეული ფილმი – ეს არის გარკვეული ქმედება, რაიმე საბაბით ჩადენილი საქციელი. რაღაც იდეას ხორცს ვასხამ ყოველგვარი პრეტენზიის გარეშე, დავამკვიდრო რაიმე აზრი. თუმცა ეს საქციელი, ეს ქმედება ჩემთვის მეტად საპასუხისმგებლოა, რადგან კონკრეტულ ფილმს იღებ ერთხელ და საბოლოოდ, სამუდამოდ. ამ საქმეს დაუფიქრებლად, ქარაფშუტულად ვერ მიუდგები. გინდა თუ არა, თავს ზევით ძალა არაა – ეს არის დედამიწაზე ჩემი ფუნქცია, ჩემი დანიშნულება. ამიტომაც იგი ვერ იქცევა რუტინულ საქმიანობად. უმთავრესია, იცოდე შენი ადგილი ამქვეყნად და არ იქცე სიამაყის ტყვედ... უნდა იცოდე ისიც, რომ ისეთივე მშრომელი ხარ, როგორიც ნებისმიერი ადამიანი, შენთან და შენ გვერდით რომ მუშაობს.

შეიძლება თუ არა რობოტებმა გაწყვიტონ ადამიანები, თვითონ დაეუფლონ ძალაუფლებას და სამყაროს ბატონ-პატრონები გახდნენ?

(დასასრული.
დასაწყისი იხ. „ს.გ“)

— ადამიანი-ღმერთი, იქნება ახალი სახეობა თუ „ჰომოსაპიენის“ გაუმჯობესებული ვარიანტი?

— ეს განსაზღვრების საკითხია: ზეადამიანები რომლებიც გაჩნდებიან მომავალ ას წელში ბევრად უფრო განსხვავებულები იქნებიან ჩვენგან ვიდრე ჩვენ განვსხვავდებით ნეანდერტალელისგან თუ შიმპანზესგან. ჩვენ ნეანდერტალელზე და შიმპანზეზე უარესები ვიქნებით მათთვის. მაშ, უფრო სწორი იქნება ახალ სახეობაზე ლაპარაკი.

— და რა მოუვა. მაშინ „ჰომოსაპიენს“? გავქრებით თუ მარგინალიზებულები ვიქნებით?

— კინოს საყვარელი აპოკალიპტური წარმოდგენა, რომ მოვლენ რობოტები, დაიპყრობენ ძალაუფლებას და გაგვწყვეტენ ადამიანებს ყალბია. საკარაუდოა რომ ჩვენ თანდათანობით და შეუმჩნეველად შეეგრწყმებით ჩვენს გამოგონებებს, შეეუერთდებით კომპიუტერებს, ინტერნეტს, ობიექტებს, მონაცემების პლანეტარულ ნაკადს,

უკვე, უამრავი ადამიანი ხედავს მობილურ ტელეფონს როგორც საკუთარი თავის ნაწილს და მათ აღარ შეუძლიათ მობილური ტელეფონის გარეშე არსებობა. უამრავი ადამიანი აღარ ცხოვრობს რეალურად. ისინი ცხოვრებას ატარებენ, ფეისბუკში. ასეთი ოპტიმიზაციები ოდესმე ისე შეგვცვლიან რომ სახელი "ჰომოსაპიენს" აღარ იქნება ჩვენი შესაბამისი. — ისინი ვინც არ ან ვერ აყვებიან ამ ევოლუციას განაგრძობენ არსებობას ზეადამიანის გვერდით ისე, როგორც შიმპანზე გადარჩა ადამიანის გვერდით თუ გაქრებიან? — ალბათ შესაძლებელი იქნება, ანუ ადამიანი ღმერთის და ჰომოსაპიენსის ანუ ჩვენი თანაარსებობა. ალბათ იქნება ბიოლოგიური კასტების სისტემა რომელშიც ჩვენნაირი დაბალი კასტა სხვა სახეობა იქნება. 200 000 და 100 000 წლებს შორის ჰუმანოიდთა სხვადასხვა. სახეობა თანაარსებობდა მანამდე სანამ არ გაბატონდა ერთადერთი სახეობა. — ზეადამიანები, ადამიანი ღმერთები მოვლენ ჩვენთან ზოოპარკში და თხილს გადმოგვიყრიან?– ეს. წარმოუდგენელია, მაგრამ ეს გააჩენს. გადაუდებელ საჩქარო ეთიკურ კითხვებს. თუ კი გვინდა იმის ცოდნა თუ რა მოხდება როდესაც ჩვენ აღარ ვიქნებით გაბატონებული სახეობა, შევხედოთ თუ როგორ ვეპყრობით სხვა ნაკლებად რთულ ცოცხალ არსებებს ანუ ღორებს, ძროხებს, ქათმებს. მილიარდობით მგრძნობიარე არსება ცხოვრობს და კვდება ჩვენს ცხოველების ფაბრიკებში. ჩემი აზრით ესაა ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი დანაშაული...

ტრანსჰუმანიზმს როგორც ჩანს აფრები აქვს აშვებული კაცობრიობას პირდება მარადიულ ახალგაზრდობას და მკვიდრდება როგორც ახალი რწმენა. ის ქადაგებს ტექნიკურ-სამედიცინო სიახლეების გამოყენებას ადამიანთა ფიზიკური და მენტალური უნარების გაუმჯობესების, პრომეთეული იმედის განხორციელების,: განკურნების, გაუმჯობესების, არსებული საზღვრების დაძლევის მიზნით. ტრანსჰუმანისტური მოძრაობა. წარმოდგება აპოლიტიკურ რამედ, მაგრამ მომზიბლავ-მაცდური დაპირებების. უკან იმალება ყველაფრის. წინასწარ განსაზღვრის, ყველაფრის პროგნოზირების და ყველაფრის გაკონტროლების სურვილი. ჰიპერ-კონტროლზე და. ჩვენი ცხოვრების მდინარების აბსოლუტურ მართვაზე დაფუძნებული ეს საზოგადოება კიდევ უფრო გვახვევს ჰიპერინდივიდუალიზმში. მიშელ ვებერმა ტრანსჰუმანისტური თეზისების საწინააღმდეგო სოლიდურ არგუმენტები წარმოადგინა. მისი აზრით ჰუმანიზმი ორმაგია. ისაა ადამიანის და მისი ღირსების პატივისცემა, მაგრამ ის შეიძლება იყოს მეცნიერების და პოლიტიკის მეშვეობით ღმერთად გადაქცევის მსურველი ადამიანის თავხედობა-თავგასულობაც. ასეთი თავხედი და თავგასული ჰუმანიზმი ხდება ნიჰილიზმი და ტოტალიტარიზმი დემოკრატია ძვირფასი რამეა და სწორედ ამიტომაა საჭირო მისი დაცვა. ამიტომაა. აუცილებელი ჰუმანიზმის. გამოყოფა ადამიან-ღმერთად გადაქცევის. ცდუნებისგან..ჰუმანიზმსაც და. დემოკრატიასაც ემუქრება. სამი საფრთხე: ეგალიტარული, თავისუფალი და უსაფრთხო სამყაროს უტოპია. ამ უტოპიის სამყაროში ყველაფერი არის. სახელმწიფოს ხელში და სახელმწიფო ბედნიერების სახელით ძერწავს სულებს; უტოპის. შერიგებული სამყაროსი სადაც აწყობენ მოხმარების და მოხვეჭის ჟინით შეპყრობილი კაპიტალიზმის და ტოტალიტარული კომუნიზმის ქორწილს. ეს ცხადდება კაცობრიობის ახალ რელიგიად; მესამე- ჰუმანიზებული, გაადამიანებული რობოტების წყალობით ბუნების და რეალობის მიერ დადგენილი საზღვრებისგან განთავისუფლებული სამყაროს უტოპია. ეს ჰუმანიზებული. რობოტები უნდათ გახადონ, ხვალინდელი სამყაროს ხელმძღვანელები, ბატონ-პატრონები და გაზრდილ-გაძლიერებული კაცობრიობის პარტნიორები...ტრანსჰუმანიზმს დიდად გლობალური საშიში ტენდენცია უწოდა დღესაც აქტიურმა მწერალმა, ფილოსოფოსმა, ფრანგმა მართლმადიდებელმა ქრისტიანმა ბერტრან ვერჟელემ. თავის წიგნში „ ტრანსჰუმანიზმი“ მოგვითხრობს მილიარდელების და მულტინაციონალების შესახებ რომლებიც ფულს დებენ უკვდავების და მარადიული ახალგაზრდობის ძიებაში.

ახალგაზრდა პაციენტების სისხლს გადუსხავენ მოხუცებს რათა გაუხანგრძლივონ მათ ცხოვრება. გამორჩეულად მდიდრები, მულტინაციონალები დიდ ფულს დებენ ბიოტექნოლოგიებში რათა დაადგინონ დღეგრძელობის გენელები და შეანელონ დაბერების პროცესი. სხვები ატარებენ ექსპერიმენტებს როგორ გადაიტანონ ტვინი მანქანებში. უფრო და უფრო პოპულარულია ორგანიზმის გაყინვა სიკვდილის წინააღმდეგ წამლის აღმოჩენის მოლოდინში ყველას აქვს ტრანსჰუმანისტური ამბიცია-პრეტენზია. მათ სურთ მაქსიმალურად დღეგრძელი, მეტიც, უკვდავი ადამიანის შექმნა და ისინი სულ არ ფიქრობენ თავის მოქმედებათა სოციალურ შედეგებზე. ტრანსჰუმანისტები ანუ ისინი ვისაც სურთ ადამიანის გაძლიერება და უკვდავ ყოვლისშემძლე-ყოვლისმცოდნე არსებად გადაქცევა ატარებენ ცდებს თაგვებზე ამ ცდების წარმატებით გამხნევებულებმა კი ბოლო წლებში დაიწყეს ცდები ადამიანებზე ნეიროლოგი რომელიც ალცჰეიმერით ავადმყოფებს უსხამს სისხლის ბანკებში ნაყიდ პლაზმას და ცდილობს. ამ ოპერაციის სასიკეთო ფაქტორების დადგენას. სხვა პროექტის ავტორი: კალიფორნიაში, ეხლა ქირაობს. ოცდათხუთმეტი წლის ზემოთ ასაკის 600-ზე მეტ პაციენტს რათა მათ გადაუსხას ოცდახუთ წელზე ნაკლები ასაკის სისხლის პლაზმა. ეს ცდები. საკამათოა მეცნიერულად და საშიშია, მაგრამ მაინც ლეგალურია და გრძელდება. მილიარდერები ჩქარობენ და რა მოხდება თუ კი ექსპერიმენტატორები იტყვიან რომ ახალგაზრდის სისხლის გადასხმა მოხუცებისთვის კარგია მათი ცხოვრების გახანგრძლივებისთვის?ვიქონიოთ იმედი იმისა რომ ახლო მომავალში არ გაჩნდება ახალგაზრდათა სისხლის შავი ბაზარი... ორგანიზაცია PAYPAL-ის თანადამფუძნებელი პიტერ ტილი ამბობს რომ ძალიან დაინტერესებულია სისხლის ასეთი გადასხმით მაგრამ იფიცებს რომ ეს ჯერ არაა „ოპერატიული“. მილიარდერს ძალიან უნდა უკვდავება და დიდ ფულს აძლევს იმათ ვინც ცდილობს ცხოვრების გახანგრძლივებას ეს შეიძლებოდა. ჩაგვეთვალა დიდი ფულის ტომრის უაზრო ხუშტურად მაგრამ საქმე იმაშია რომ **პიტერ ტილი** არის „სილიკონ ველის“ ხელმძღვანელებს შორის ის იშვიათი ვინმე ვინც მხარს უჭერს დონალდ. ტრამპს რომელმაც ის დანიშნა „ ნუმერიკულ მრჩევლად „ ვინაიდან პიტერ ტილი ასევე. არის დამფუძნებელი BIG DATA-ს და მონაცემთა ანალიზის ლიდერი ორგანიზაციისა PALANTIR რომლის მთავარ კლიენტებს შორისაა აშშ-ს დაზვერვის ცენტრალური სამმართველო და სააგენტოები, ისევე როგორც დიდი მულტინაციონალები. ისაა ტრანსჰუმანისტური იდეოლოგიის ადეპტი და ტრანჰუმანისტთა მთავარი ფიგურა. ის ფიქრობს რომ სიკვდილის აზრთან შეგუება უცნაური და პათოლოგიური რამეა და რომ აქტიურად უნდა ვიბრძოლოთ ამ რეალობის წინააღმდეგ აბა ვის არ უნდა უკვდავება,? ზოგი ფიქრობს. რომ სულ მცირე ცხოვრების გახანგრძლივების კარგი გზაა დაზიანებული და ავადმყოფი ორგანოების შეცვლა ჯანმრთელი ორგანოებით. სხვა. გადაწყვეტა: კიბერნეტიკული უკვდავება. ტვინის გადატვირთვით კომპიუტერზე. რუსმა მედიამაგნატმა დიმიტრი იცკოვმა წარმოიდგინა რომ 2045 წელს შეიქმნება ავატარი რომელშიც ადამიანი გააკეთებს თავისი ცნობიერების დუბლიკატს. მან წერილი გაუგზავნა დედამიწის ათას უმდიდრეს ადამიანს რომლებსაც სთხოვა თავისი ოცნების დაფინანსება. ტრანსჰუმანისტების პაპი, GOOGLE-ს ინჟინერიის. დირექტორი და უნივერსიტეტი SINGULARITÉ-ს დამფუძნებელი რეი კურცვეილი ფიქრობს რომ 2045 წლისთვის ხელოვნურ გონიერებებს ექნებათ თვითევოლუციის უნარი. „სილიკონ ველი“ ინვესტიციებს დებს უკვდავებაში. კიოტოს უნივერსიტეტის პროფესორმა 2006 წელს თაგვებზე ცდების ჩატარებისას აღმოაჩინა უჯრედების გაახალგაზრდავების გასაღები. 2007 წელს მან ცდები ჩატარა ადამიანის უჯრედებზე. საფრანგეთში 2011 წელს მეცნიერთა ჯგუფმა მოახერხა მოხუცთა უჯრედების გაახალგაზრდავება. მაგრამ ეს ცდები ეხება. იზოლირებულ უჯრედებს და არაფერი მიუთითებს იმაზე რომ მათი გატანა შეიძლება მთელ ორგანოებზე ან მთელ ინდივიდზე რა იქნება შემდეგი ეტაპი? უეჭველია. რომ მალე მოლეკულები გაჩნდება ბაზარზე. ძიებაში ჩაერთვნენ მულტინაციონალები. მარადიული ახალგაზრდობის მოპოვება ძალიან მოუნდა GOOGLE-ALPHABET-ს რომელიც ფულებს დებს დაბერების წინააღმდეგ ბრძოლაში. მულტინაციონალმა. 2013 წელს შექმნა. ამ სფეროში მოქმედი საზოგადოება "კალიფორნიის სიცოცხლის კომპანია" რომლის. ხელმძღვანელიცაა. GOOGLE-ს ყოფილი დირექტორი და APPLE-ს პრეზიდენტი არტურ ლევინსონი. ეს კომპანია ხმას არ იღებს თავის მიზნებზე. ის კონცენტრირებული უნდა იყოს ფუნდამენტურ კვლევაზე. მას უნდა ათიოდე წელში რევოლუციური აღმოჩენების გაკეთება. მისი ამბიციები უზომოა. შეუძლია თუ არა GOOGLE-ს სიკვდილის მოკვლა? GOOGLE-ს და ფარმაცევტული ლაბორატორიების ალიანსი „კალიფორნიის სიცოცხლის კომპანია“ -მ და ფარმაცევტულმა საწარმო AbbVie-მ 2014 წელს გამოაცხადეს რომ 1,5 მილიარდ დოლარს ჩადებენ საერთო კვლევის პროექტში.“ სიცოცხლის კომპანიას“ სურს შემოწმება ეხლანდელი კვლევებისა რომლებიც ეხება ბრძოლას დაბერებასთან. ის ამისთვის, შეგროვებული მონაცემების გიგანტური მასის. გასაანალიზებლად უეჭველად გამოიყენებს Google-ს ანგარიშის ძალას.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

უძველესი ხიდები, რომლებითაც დღესაც სარგებლობენ

არსებობს უძველესი ნაგებობები, რომლებიც დღეისათვის მხოლოდ ტურისტებისთვის საინტერესო ღირსშესანიშნაობებს წარმოადგენს, მაგრამ არის ხიდები, რომლებიც ასობით თუ ათასობით წლის წინათ არის აგებული, გაუძლო ომებს, წყალდიდობებს, მიწისძვრებს და დღესაც ადამიანებისა თუ ტრანსპორტის გადაადგილებისთვის გამოიყენება.

ფაბრიციუსის ხიდი

ძველმა რომაელებმა ბევრი რამ შექმნეს, რამაც დროის გამოცდაას გაუძლო. დღემდე ამოუხსნელი ტექნოლოგიების წყალობით, რომის ეპოქაში აგებული ნაგებობანი დღემდე უცვლელად დგას. მათ შორის არის ფაბრიციუსის ხიდი.

ეს ხიდი იმპერატორმა ლუციუს ფაბრიციუსმა ააგო ჩვ.წ. აღ-მდე 62 წელს ხის დამწვარი ხიდის ნაცვლად. საინტერესოა, რომ არსებობის 2000 წლის მანძილზე ხიდი პრაქტიკულად არ შეუკეთებიათ.

პონტე ვეკიო

პონტე ვეკიოს ხიდი ფლორენციაში მდებარეობს. ის 1345 წელს ააგეს მდინარე არნოზე არსებული ხის ხიდის ნაცვლად.

თავიდან ხიდს სავაჭრო ადგილად იყენებდნენ — აქ იყო განთავსებული ხორცისა და თევზის რიგები, რათა სუნს ქალაქის მოსახლეობა არ შეეწუხებინა.

არსებობს ვერსია, რომ ამ ხიდიდან მოდის სიტყვა „ბანკროტი“. როცა მოვაჭრეს არ შეეძლო გადასახადის გადახდა, მის ფარდულს (ბანკო) მცველები (როტტო) ამტვრევდნენ. ვაჭარს ფარდულის გარეშე ვაჭრობა აღარ შეეძლო და ამას „ბანკროტტო“ ერქვა.

მეფე ფერდინანდ I-მა XVIII ს-ში აკრძალა ხიდზე თევზეულით და ხორცით ვაჭრობა და მას შემდეგ აქ საიუველირო ნაწარმისა და სუვენირების ფარდულებია განთავსებული.

საინტერესოა, რომ პონტე ვეკიო ფლორენციაში მდებარე ერთადერთი ხიდია, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ჰიტლერელებმა არ ააფეთქეს.

რიალტოს ხიდი

რიალტოს ხიდი ვენეციაში მდებარეობს და ცნობილ გრანდკანალზე გადასავლელად გამოიყენება. მის ადგილზე ბევრი ხის ხიდი იყო, რომლებიც ხანძრებმა გაანადგურა და XVI საუკუნეში მათ ნაცვლად ქვის ხიდი ააგეს.

რიალტოს ხიდი ნაკლებად ცნობილმა არქიტექტორმა ანტონიო დე პონტემ შექმნა. პროექტი სასტიკად გააკრიტიკეს და ეჭვობდნენ კიდეც, რომ ხიდი მალევე დაინგრეოდა, მაგრამ ის დღემდე უცვლელად დგას.

ხაჯეს ხიდი

ეს ფეხით სავალი ხიდი ისპაჰანში, მდინარე ზაიანდეზეა აგებული. ხაჯეს ხიდი 24 თაღისგან შედგება, მისი სიგრძე 133, სიგანე კი 12 მეტრია. ხიდი ორიარუსიანია და დამშვენებულია ორნამენტებით. ის აგებულია 1650 წელს. ნაგებობა ერთდროულად სამ ფუნქციას ასრულებს — არის კაშხალი, დასვენების ადგილი და მდინარეზე გადასასვლელი. ხიდის შუა ნაწილში მდებარეობს პავილიონი ირანის მმართველის, შაჰ აბას II-ისთვის, რომელსაც მდინარით ტკბობა უყვარდა.

შაჰარას ხიდი

ეს ხიდი „ოხვრის ხიდის“ სახელითაც არის ცნობილი და იემენში მდებარეობს. ის XVII საუკუნეშია აგებული და ორ მთას აერთებს, რომლების შუაშიც ღრმა ხეობაა. ორივე მთაზე სოფლებია შეფენილი, რომელთა მოსახლეობას ხიდის აგებამდე ერთმანეთთან ურთიერთობა ძალზე უძნელდებოდა.

შაჰარას ხიდი იემენის ერთ-ერთი ღირსშესანიშნაობაა. ის ადგილობრივ 10-რეალიან მონეტაზეა გამოსახული.

ჯენდერეს ხიდი

ჯენდერეს ხიდი თურქეთში მდებარეობს და რომაელების მიერ არის აგებული მეორე საუკუნეში. ეს ძველი რომის დროინდელი ყველაზე გრძელი თაღოვანი ხიდია, რომლიც სიგრძე 120 მეტრია.

ხიდი რომაელი იმპერატორის სეპრიმუს სევერის, მისი მეუღლის, იულია დომნასა და მათი ვაჟების კარაკალისა და ჰეტის პატივსაცემად ააგეს.

ხიდის ორივე მხარეს ორ-ორი კოლონა იყო განთავსებული — ერთ მხარეს იმპერატორის და მისი მეუღლის, მეორე მხარეს კი მათი ვაჟების — კარაკალასა და ჰეტის სახელზე. როცა კარაკალა გამეფდა, მან ჰეტი მოკლა და მისი სახელობის კოლონაც დაანგრევინა.

ანიცზის ხიდი

აციზზი ჩინეთში შემორჩენილი ყველაზე ძველი ხიდია, რომელიც ჩვენი წელთაღრიცხვით 65 წელს არის აგებული. მისი სახელწოდება ითარგმნება, როგორც „უსაფრთხო გადასასვლელი“. იმ დროისთვის აციზის ხიდი ქვეყანაში ყველაზე სრულყოფილი იყო, რომელსაც ყველაზე დიდი თაღი ჰქონდა. თანამედროვე ინჟინრებმა ხიდი შეაფასეს და მან ამერიკის საინჟინრო აკადემიის ჯილდოებიც კი მიიღო. ხიდმა 10 წყალდიდობას, 8 ომს და მრავალ მიწისძვრას გაუძლო.

ბელა გველესიანი
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
2 79 63 91;
0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

— მსურს, დისშვილთან გავაფორმო სამისდღემჩიო რჩენის ხელშეკრულება. გთხოვთ, მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია.

— თქვენთვის საინტერესო საკითხი რეგულირდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 28 თავით, რომლის შინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

— მუხლი 941. ცნება

პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).

მუხლი 942. ხელშეკრულების ფორმა

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

მუხლი 943. სარჩოს ოდენობა

სამისდღეშიო სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 944. სარჩოს გადახდის ვადები

სარჩოს გადახდის ვადები დგინდება მისი ხასიათიდან და მიზნებიდან გამომდინარე, მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 945. გადაცემული ქონების გასხვისების დაუშვებლობა

1. სარჩენის სიცოცხლეში მარჩენალს უფლება არა აქვს გაასხვისოს, დააგირაოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე. მარჩენალის ვალების გამო გადახდევინების მიქცევა ამ ქონებაზე დაუშვებელია.

2. როცა სარჩენი მარჩენალს გადასცემს უძრავ ქონებას, მაშინ მოთხოვნის უზრუნველსაყოფად მას აქვს იპოთეკის უფლება ამ ქონებაზე.

მუხლი 946. შედავება სარჩოს გადახდის გამო

სამისდღეშიო სარჩოს გადახდა შეიძლება საცილო გახადონ სხვა პირებმა, რომელთაც ჰქონდათ კანონიერი უფლება მიეღოთ სარჩო მარჩენალისაგან, მაგრამ ვერ მიიღეს იმის გამო, რომ მარჩენალი იხდის სამისდღეშიო სარჩოს. ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ქონება უბრუნდება სარჩენს.

მუხლი 947. ნატურალური სარჩოს გადახდა

ნატურალური სარჩოს გადახდის ხელშეკრულებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ ნატურალური სარჩოს შეცვლა ფულით.

მუხლი 948. გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვის ან დაზიანების რისკი

მარჩენალისათვის გადაცემული ქონების შემთხვევით დაღუპვა ან დაზიანება არ ათავისუფლებს მას სარჩოს გადახდისაგან.

მუხლი 949. უარი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე

1. როგორც მარჩენალს, ისე სარჩენს შეუძლიათ უარი თქვან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე, თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მის გაგრძელებას.

2. გადაცემული უძრავი ქონება ხელშეკრულების შეწყვეტისას უბრუნდება სარჩენს, ხოლო ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები მარჩენალს არ უნაზღაურდება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 950. მარჩენალის გარდაცვალების შედეგები

1. მარჩენალის გარდაცვალებისას რჩენის ვალდებულება გადადის მის იმ მემკვიდრეებზე, რომლებმაც მიიღეს გადაცემული ქონება.

2. მემკვიდრის მიერ ამ ვალდებულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ეს ქონება უბრუნდება სარჩენს. ამ დროს ხელშეკრულება წყდება.

* * *

— რა ასაკიდან ღებულობს ადამიანი მემკვიდრეს ყოფნის უფლებას?

— მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე. ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე / საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი/.

* * *

— მაინტერებს სახელის შეცვლასთან დაკავშირებული სამართლებრივი ნორმები.

— საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მუხლი 17. სახელის უფლება

1. ყოველ ფიზიკურ პირს აქვს სახელის უფლება, რაც მოიცავს სახელსა და გვარს.

2. სახელის შეცვლა დასაშვებია. ამისათვის საჭიროა პირის დასაბუთებული განცხადება, რომელიც დადგენილი წესით უნდა განიხილოს სათანადო ორგანომ.

3. სახელის შეცვლა არ წარმოადგენს იმ უფლებებისა და მოვალეობების შეწყვეტის ან შეცვლის საფუძველს, რომლებიც შეძენილი იყო ადრინდელი სახელით. პირი მოვალეა მიიღოს აუცილებელი ზომები სახელის შეცვლის შესახებ კრედიტორებისა და მოვალეების გასაფრთხილებლად.

სულით ძლიერნი — დედოფლები, რომლებმაც მსოფლიო დაიპყრეს

ელიზაბეტ I

თუ თქვენ ფიქრობთ, რომ გვირგვინოსანი ქალბატონების საქმე მხოლოდ ლამაზი კაბები და მეჯლისებზე სიარულია, თქვენი მოსაზრების გასაქარწყლებლად გთავაზობთ იმ დედოფლების ისტორიებს, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ ღირსეულად ატარებდნენ ტიტულს და ისტორიაშიც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს.

ელიზაბეტ I

ელიზაბეტ I დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი უდიდესი მონარქია. ტახტისკენ მიმავალ გზაზე ბევრი რთული მომენტი გადაიტანა და პოლიტიკური ოპონენტების ბევრ წინააღმდეგობასთან და ინტრიგებთან გამკლავება მოუხდა, მაგრამ მისი მმართველობის ბოლოს ინგლისში კეთილდღეობისა და აღმავლობის არნახული ეპოქა დადგა. ელიზაბეტი პოლიტიკური თამაშის სრულუფლებიანი მოთამაშე ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა გახდა. მეფე ჰენრიხ VIII-ის გარდაცვალების შემდეგ ქვეყნის მდგომარეობა მსოფლიო არენაზე მნიშვნელოვნად შეირყა. თავიდან ელიზაბეტი ტახტის მემკვიდრედ არც განიხილებოდა, რადგან ის „რიგში“ მესამე იყო, თანაც მამამ პრაქტიკულად უკანონოდ დაბადებულად გამოაცხადა. ელიზაბეტი დედოფალი 25 წლის ასაკში გახდა, ძმისა და დის გარდაცვალების შემდეგ.

ტახტზე ასვლის შემდეგ პრიორიტეტად რელიგიური კონფლიქტების აღმოფხვრა დაისახა, რომლებიც ქვეყანას ანადგურებდა. ისტორიაში შევიდა, როგორც უბიწო დედოფალი — იგი არ გათხოვილა. ბევრი ამას ფსიქოლოგიურ ტრავმად მიიჩნევდა, რასაც დედის, ანა ბოლეინის სიკვდილით დასჯის შედეგად ჩამოყალიბებულ პრობლემად თვლიდა. ზოგიერთი ისტორიკოსი თვლის, რომ ელიზაბეტი ქორწინებას ხელისშემშლელ ფაქტორად მიიჩნევდა და თავი ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობას მიუძღვნა. ელიზაბეტის მმართველობის პერიოდი ნატიფი ხელოვნებისა და ზღვაოსნობის აღმავლობის დროა. დედოფალი გაუმკლავდა ესპანეთის არმადის თავდასხმას და დაამარცხა მარია სტიუარტი. ბრიტანელები „დიდებულსა და ძლევამოსილს“ უწოდებენ ბრიტანეთის მონარქიის ყველაზე ბრწყინვალე წარმომადგენელს.

იენენგა

ეს ნაკლებად ცნობილი ქალბატონი დაგომბას სამეფოს მართავდა XII ს-ში. იგი მეფე ნედეგას ქალიშვილი გახლდათ. ეს სამეფო თანამედროვე განას ჩრდილოეთით მდებარეობდა. გოგონას პატარაობიდანვე ასწავლიდნენ სამხედრო საქმეს და სპარტანულად ზრდიდნენ. იგი ბრწყინვალე წარმატებებს აღწევდა ყველაფერში — შუბის ტყორცნაში, მშვილდ-ისრის სროლასა და ცსენოსნობაში. იენენგამ დიდი გამოცდილება მიიღო საბრძოლო მოქმედებებშიც, იგი დიდ სამხედრო შენაერთს ხელმძღვანელობდა. მაგრამ იყო ერთი ნიუანსი — მამა იმდენად აფასებდა ქალიშვილს, როგორც მრჩეველსა და მებრძოლს, რომ ყველანაირად ეწინააღმდეგებოდა მის გათხოვებას. დოკუმენტური წყაროების თანახმად, გოგონა არ შეეპუა მამის ტირანიას და გაიქცა. იენენგამ იმდენი ირბინა, ვიდრე სპილოებზე მონადირის სახლს არ მიადგა. ეს შეხვედრა საბედისწერო გამოდგა — იენენგა მონადირეს გაჰყვა ცოლად. დედოფალი იენენგა ითვლება დასავლეთაფრიკული ხალხის — მოსის წინაპრად (ეთნიკური ჯგუფი, რომელიც გავრცელებულია ბურკინა-ფასოში, განაში, კოდ-დ'ივუარში, მალისა და ტოგოში).

ზენობია

ზენობია პალმირის (დღევანდელი სირია) დედოფალი იყო III საუკუნეში. ისტორიკოსების აღწერით, იგი ულამაზესი ქალბატონი

იენენგა

იყო და ჰქონდა ძალიან გამჭრიახი ჭკუა. ზენობიას საყვარელი საქმიანობა იყო ჯირითი, ნადირობა და კარგი ალკოჰოლი. მისი ქმარი მეფე ოდენატ II იყო, რომელმაც რომის ვასალად გამოაცხადა თავი 258 წელს. ქმრის სიკვდილის შემდეგ ზენობია პალმირის ფაქტობრივი მმართველი და საკუთარი ვაჟის რეგენტი გახდა. მან მეუღლის საქმიანობა განაგრძო და


ზენობია

ქვეყნის საზღვრები გააფართოვა.

ზენობია დიდ ყურადღებას უთმობდა საკუთარი არმიის პროფესიულ მომზადებას, რომელიც არამარტო პალმირის საზღვრებს იცავდა, არამედ დამპყრობლური ექსპედიციაც კი მოაწყო და 269 წელს ეგვიპტე დაიპყრო. ამას მოჰყვა ანატოლია, სირია, პალესტინა და ლიბანი. ზენობია აკონტროლებდა ახლო აღმოსავლეთის უმსხვილეს სავაჭრო მარშრუტებს. სწორედ მაშინ დაიწყო მან მონეტების ბეჭდვა საკუთარი პროფილით, რაც მისი ძლევამოსილების დადასტურება იყო. ზენობიას მმართველობა ბოლო მოუღო რომის იმპერატორმა აურელიანმა, რომელმაც მისი ჯარი დაამარცხა ანტიოქიასთან ბრძოლაში და კვლავ რომის იმპერიას დაუქვემდებარა.

პინგ იანგი

თქვენ რომ ჩინეთში სუის დინასტიის მეფობის პერიოდში გეცხოვრათ და თანაც გლეხად დაბადებულიყავით, რთული ცხოვრება გელოდათ. სწორედ იმ პერიოდში განხორციელდა ჩინეთის იმპერიაში ისეთი სახელმწიფოებრივი პროექტები, როგორიც იყო ჩინეთის დიდი კედელი. იმპერატორმა იანგმა სწორედ მათი წყალობით გაითქვა სახელი. თუ ვინმე პროექტის მნიშვნელობაში შეიტანდა ეჭვს, სიკვდილით ისჯებოდა. სწორედ იმ პერიოდში დასაჯეს სიკვდილით ბევრი გენერალი. საფრთხის წინაშე აღმოჩნდა პინგ იანგის მამაც. გენერალი სათავეში ჩაუდგა აჯანყებას, რომელსაც ქალიშვილიც შეუერთდა. პინგ იანგმა იარაღის გამოყენების გარეშე შეძლო თავის მხარეს გადაებირებინა სამხედრო ელიტის უდიდესი ნაწილი. ამგვარად პინგ იანგმა შეძლო 70 000 ჯარისკაცის შეკრება. მეომრები მის მიერ შექმნილი კოდექსის მიხედვით მოქმედებდნენ, რომელიც გამორიცხავდა გლეხების მიმართ აგრესიას. არმიამ მიიღო სახელწოდება „მშვენიერი ქალბატონის ჯარი“. აჯანყებულებმა იმპერატორი ტახტიდან ჩამოაგდეს. საფუძველი ჩაეყარა ახალ — ტანგის დინასტიას, რომლის მმართველობის დროსაც ჩინეთში „ოქროს ეპოქა“ დაიწყო. პრინცესა პინგ იანგი დღემდე ითვლება ჩინეთის ისტორიაში ერთადერთ ქალად, რომელიც სამხედრო პატივით დაკრძალეს.

ბოუდიკა

ბრიტების ტომის წითურთმიანმა წინამძღოლმა თავის დროზე რომის იმპერატორ ნერონის წინააღმდეგ მოაწყო აჯანყება. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ მისი ქონება შვილებს შორის უნდა განაწილებულიყო, ნაწილი კი რომის მმართველობაში უნდა გადასულიყო, მაგრამ რომის ჯარმა დედოფალი გააძევა და მისი ტერიტორია დაიპყრო. ბოუდიკამ გააერთიანა რამდენიმე ტომი, რომლებიც რომის იმპერიის გამო დაზარალდნენ და აჯანყება მოაწყო. ბოუდიკამ და მისმა ამბოხებულებმა დაიპყრეს რამდენიმე ქალაქი (დღევანდელი ლონდონი, კოლბუსტერი და სენრ-ოლბენსი). დედოფლის შეიარაღებულმა ნაწილებმა ვერ გაუძლეს რომაელების ჯარის წინააღმდეგობას და დამარცხდნენ, მაგრამ უშიშარი დედოფლის სახელი დღესაც ცოცხლობს.

ბრძენი აუდი

დედოფალი აუდი ვიკინგების ტომის წარმომადგენელია. იგი თანამედროვე ნორვეგიის ტერიტორიაზე დაიბადა და ძალზე ახალგაზრდა, ოჯახთან ერთად ჰებრიდის კუნძულებისკენ გაემართა. მამამისმა კეტილმა ამ მიწების მეფედ გამოაცხადა თავი. მამაც დედოფალს ბედმა არგუნა დუბლინის მეფის ოლაფის ცოლობა და ტორსტეინ წითურის დედობა, რომელიც შოტლანდიელი ვიკინგების წინამძღოლი გახდა. ასეთ პირობებში დედოფალ აუდის აღარაფერი დარჩენოდა, გარდა იმისა, რომ გაეზიარებინა საკუთარი მეუღლის დამპყრობლური გეგმები, მოგვიანებით კი — ვაჟისა. სამწუხაროდ, მან თავისი ოჯახის წევრებზე დიდხანს იცოცხლა და ბოლოს გააძევეს კიდეც. აუდი სულით არ დაცემულა და სათავეში ჩაიდგა ექსპედიციას ისლანდიაში და ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც ამ ტერიტორიებზე ქრისტიანობას უწევდა პოპულარიზაციას.

ჩვენი გმირი ქალბატონები ცხოვრების რაღაც მომენტში რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, ისინი ბავშვობიდანვე ავლენდნენ მტკიცე ხასიათს და შეძლეს გამკლავებოდნენ სირთულეებს, გამოეჩინათ სიმტკიცე და ვაჟკაცობა!

ვივატ, დედოფლებო!

ბელა გველესიანი
568 90 81 22

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983